ოცდაათ ვერცხლზე დახარბებული, თახსირი ნაცოპოზიცია ქვეყნის ღალატისთვის ახლა მაინც უნდა გასამართლდეს!

საქართველო

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

რესპუბლიკა

№133 (9813) 2024 წლის 20 ნოემბერი. ოთხშაბათი

ფასი 1 ლარი

რადიკალური ოპოზიცია ძალიან სუსტია,

2

სახელმწიფო – ძალიან ძლიერი!

მხატვარი ცისანა ჯანაშვილი (იბეჭდება პირველად)

ჯორჯ ბალანჩინის სახელობის ფესტივალი ქუთაისში

6

ჯვაროსნობიდან ზაფხულის „გაბინძურჩინებამდე“, ანუ ქართული ოპოზიცია აუსტერლიცის მოლოდინში



4

ნამდვილი არაგველის დაუვიწყარი ღვაწლი

7

კაი ყმა ლონგინოზ ზაქაიძე

არასდროს დავუშვებთ, რომ ჩვენს ბავშვებს ლგბტ პროპაგანდა თავს მოვახვიოთ!

3

ქართველ სტუდენტთა წარმატება

6

SCIENTIA POTESTAS EST.

სუ

ლენინის უკანონო შვილები

11

ვინ ამტკიცებდა ბელადთან ნათესაობას?!

ზურაბიშვილის სარჩელი იმდენად ტუტუცურია, რომ პარლამენტის სხდომას ვერ შეაფერხებს!..

რადიკალური ოპოზიცია ძალიან სუსტია, სახელმწიფო – ძალიან ძლიერი!

მთავრობის ადმინისტრაციაში 18 ნოემბერს მთავრობის სხდომა გაიმართა

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების შედეგების საბოლოო ოქმის გამოქვეყნების შესახებ ისაუბრა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, არჩევნებში მმართველმა გუნდმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა და ქართველ ხალხს კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა.

პრემიერ-მინისტრმა მადლობა გადაუხადა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, ცესკოს თავმჯდომარე გიორგი კალანდარიშვილს, ცესკოს მდივანს, ცესკოს თავმჯდომარის მოადგილეს, ცესკოს შესაბამის წევრებს.

...ძალიან დიდი იყო წნეხი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაზე. იყო ძალიან მძიმე ინციდენტი, რაც ვიხილეთ გუშინწინ, თუმცა ცესკოს შემადგენლობამ სათანადოდ გაიარა ეს პროცესები და საბოლოო ჯამში უზრუნველყო არჩევნების უმაღლეს დონეზე ჩატარება. კიდევ ერთხელ ძალიან დიდი მადლობა ცესკოს და ცესკოს წევრებს ამისთვის.

ირაკლი კობახიძემ ოპოზიციის ქმედებებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ რადიკალური ოპოზიცია დღეს ძალიან მძიმე მდგომარეობაშია.

– რადიკალური ოპოზიცია არის ძალიან მძიმე მდგომარეობაში და ეს მდგომარეობა დღითიდღე მძიმდება. ჩვენ გვახსოვს წინა წლების განმავლობაში, როდესაც ძლიერდებოდა ხოლმე რადიკალური ოპოზიცია, სუსტდებოდა სახელმწიფოს პოზიციები, როდესაც დასუსტებული იყო რადიკალური ოპოზიცია, ამ დროს უფრო ძლიერი იყო ხოლმე ყოველთვის სახელმწიფო. შესაბამისად, რადიკალური ოპოზიციის დასუსტება არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა იმისათვის, რომ ჩვენ უზრუნველვყოთ ჩვენი სახელმწიფოს სიძლიერე და ქვეყნის განვითარება სწორი მიმართულებით. იმდენად მძიმე მდგომარეობაშია ოპოზიცია, ალბათ შეგვეცოდებოდა, რომ არ ვიცოდეთ, რა ბოროტ ძალასთან გვაქვს საქმე. საქმე გვაქვს უსამშობლო ადამიანებთან, რომელთა დასუსტება არის მხოლოდ და მხოლოდ სასარგებლო ჩვენი ქვეყნისა და სახელმწიფოს განვითარებისთვის, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

✦ ✦ ✦

– დღეს ამ ოთხმა პარტიამ, სინამდვილეში ერთმა პოლიტიკურმა ძალამ, მიმართა ევროკავშირს კონკრეტული მოთხოვნებით – მათ მოითხოვეს ევროინტეგრაციის პროცესის შეჩერება, ეს არის პირველი მოთხოვნა, რომელიც მათ დააყენეს, არც მეტი, არც ნაკლები; კომუნიკაციის შეწყვეტა ევროკავშირსა და სახელმწიფო ინსტიტუტებს, ხელისუფლებას შორის; 120 მლნ-იანი დაფინანსების შეჩერება და ასევე მოითხოვეს, რომ ეს თანხა მიემართოს აგენტურის გაძლიერებისკენ ჩვენს ქვეყანაში. ეს არის 3 მთავარი მოთხოვნა, რითიც მიმართა რადიკალურმა ოპოზიციამ ბრიუსელს. თქვენ გახსოვთ, საუკუნის წინ ცნობილი გზავნილი, რომელიც სერგო ორჯონიკიძემ გაუგზავნა მოსკოვს, ეს არის სერგო ორჯონიკიძის გზავნილი საუკუნის თავზე, ოღონდ არა მოსკოვს, არამედ ამ შემთხვევაში ბრიუსელს.

ისინი ყოველდღიურად ავლენენ სახეს, რაც არის ძალიან კარგი, ამას ხედავს საზოგადოება. ვფიქრობ, რომ ის 785 000 ადამიანიც, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ამ რადიკალურ ძალებს, თანდათანობით გადააფასებენ საკუთარ არჩევანს და საბოლოო ჯამში ისინი დაუბრუნდებიან იმ პოზიციას, რომელიც დაკავშირებულია ქვეყნის სწორი მიმართულებით განვითარებასთან. მინდა, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, სხვა სამართალდამცავ უწყებებს იმისათვის, რომ მათ სათანადოდ მართეს ეს პროცესები დღემდე და, რა თქმა უნდა, ასე გაგრძელდება პროცესების მართვა მომდევნო დღეების განმავლობაშიც. საზოგადოება შეწუხებულია იმ აქტივობების გამო, რომლებსაც ახორციელებს რადიკალური ოპოზიცია, თუმცა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ყველაფრის ჯეროვნად მართვა!..

✦ ✦ ✦

მომავალ ორშაბათს საქართველოს პარლამენტს წარედგინება მთავრობის შემადგენლობა ნდობის გამოსაცხადებლად.

მინდა, ვთხოვო ყველა სამინისტროს, დავიწყოთ მუშაობა სამთავრობო პროგრამის საბოლოოდ დაზუსტებაზე. როგორც მოგეხსენებათ, ორშაბათს მთავრობის შემადგენლობასთან ერთად ჩვენ უნდა წარვუდგინოთ საქართველოს პარლამენტს სამთავრობო პროგრამაც, 4-წლიანი პროგრამაც და მნიშვნელოვანია, რომ ყველა დეტალი იყოს დაზუსტებული. ეს არის ჩემი თხოვნა თითოეული სამინისტროს და მინისტრის მიმართ. ჩვენ გვაქვს ამბიციური ამოცანა, რომელიც ასახულია სამთავრობო პროგრამაში. 4 წლის თავზე ჩვენ განვითარების სრულიად სხვა ეტაპზე უნდა გადავიყვანოთ ჩვენი ქვეყანა, რასაც უზრუნველყოფს ჩვენი სამთავრობო პროგრამა. ახლა მთავარია ყოველდღიური მუშაობა იმისათვის, რომ ყველა ამოცანა სათანადოდ შესრულდეს...

საქართველოს მთავრობა კულტურისა და სპორტის სამინისტროს გაყოფის შესახებ საკანონმდებლო ინიციატივით პარლამენტს მიმართავს.

ცვლილებების განხორციელების შედეგად, კულტურისა და სპორტის სამინისტროები ცალ-ცალკე იფუნქციონირებს. კულტურის სამინისტროს – თინათინ რუხაძე, ხოლო სპორტის სამინისტროს შალვა გოგოლაძე უხელმძღვანელებს.

19.XI.2024 წ.

მავნებელი ოპოზიცია რომ ჩაწყნარდეს, „მეგობარი“ ევროპა „ტექნიკურ მისიას“ გვიგზავნის

საქართველოს ხელისუფლების მიმართ სანქციებთან დაკავშირებით ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს

როგორც „რადიო თავისუფლება“ იუწყება, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის სანქციების დაწესებას უნგრეთი და სლოვაკეთი ეწინააღმდეგებიან, ეჭვს გამოთქვამენ ბულგარეთი და იტალიაც.

ამასთან, მედიის ინფორმაციით, გერმანია წინააღმდეგია, რომ ევროკავშირმა საქართველოს უვიზო მიმოსვლა შეუჩეროს.

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის აზრთა სხვადასხვაობა სლოვაკეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მარეკ ეშტოკის კომენტარმაც გამოავლინა.

„ჩვენ მივიღეთ ქართველი ხალხის გადაწყვეტილება. ეს ლეგიტიმური გადაწყვეტილებაა. გვესმის, რომ იყო გარკვეული პრობლემები, მაგრამ ამას საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მიხედოს“, – ციტირებს „რადიო თავისუფლება“ ეშტოკს.

ბრიუსელში 18 ნოემბერს ევროკავშირის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტერიალი გაიმართა. შეხვედრის დასრულების შემდეგ საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ჟოზეფ ბორელმა განაცხადა, რომ ევროკავშირი საქართველოში ტექნიკურ მისიას გააგზავნის. ტექნიკური მისიის მიზანი ადგილზე ვითარებას ანალიზი და იმის გარკვევაა, თუ რა მოხდა არჩევნებზე.

ევროკავშირის ოფიციალური პირების თქმით, რომლებსაც ვესაუბრე, ნამდვილად არსებობს აზრი, რომ ისინი („ქართული ოცნება“) ერთადერთი რეალური მოთამაშეები არიან მოედანზე, ამიტომ ევროკავშირს ნამდვილად არ აქვს დიდი არჩევანი.

ევროკავშირის ლიდერებს ევროპის პოლიტიკური გაერთიანების (EPC) სამიტის მეორე დღეს სიღრმისეულად უნდა განეხილათ საქართველოს საკითხი, მაგრამ აშშ-ის პრეზიდენტად დონალდ ტრამპის ხელახალი არჩევა და ევროპის ცენტრალური ბანკის ყოფილი პრეზიდენტის მარიო დრაგის პრეზენტაცია ბლოკის კონკურენტუნარიანობის შესახებ დომინირებდა. იმ დღეს საქართველო მხოლოდ ესტონეთისა და ლიტვის ლიდერებმა ახსენეს.

იყო სხვა ნიშნებიც, რომ საკითხი უკვე უკანა პლანზეა გადაწეული. ევროპარლამენტში ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ახალი ხელმძღვანელის კაია კალასის მოსმენისას, საქართველო სამსაათიანი გამოსვლის დროს საერთოდ არ იყო ნახსენები. ევროკავშირის გაფართოების საკითხებში ახალმა კომისარმა მარტა კოსმა ასევე არ ახსენა საქართველო მისი მოსმენის შესავალ სიტყვაში, მაგრამ ევროპარლამენტარის კითხვის შემდეგ მან თქვა, რომ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი, რომელიც შეჩერებულია, შეიძლება განახლდეს, თუ მთავრობა გააუქმებს ახლახან მიღებულ და საკამათო „უცხოელი აგენტების“ კანონს და „ანტი-ლგბტ კანონს“.

„ოცნება“ ერთადერთი მოთამაშეა ქართულ პოლიტიკურ მოედანზე არსებულ ძალებს შორის...

საბოლოო ჯამში, ევროკავშირს მოუწევს (ალბათ, უხალისოდ) „ქართული ოცნების“ მთავრობასთან ურთიერთობა

რიკარდ იოზვიაკი
„რადიო თავისუფლების“
ევროპის ბიუროს რედაქტორი.

ზურაბიშვილის სარჩელი იმდენად ტუტუცურია, რომ პარლამენტის სხდომას ვერ შეაფერხებს!..

ცყუილია, რომ სარჩელს, სარჩელის გარდა, კიდევ სხვა მექანიზმების გამოყენებას, შეუძლია პარლამენტის სხდომა შეაფერხოს. ეს ნიშნავს, რომ საქართველოში მუდმივად უნდა ტარდებოდეს არჩევნები, არა მარტო საქართველოში, ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში, თუკი ოპოზიცია კმაყოფილი არ არის. რაც შეეხება სალომე ზურაბიშვილის ქმედებას, იგი წინასწარ აკეთებს განცხადებას საკონსტიტუციო სასამართლოს მიკერძოებაზე, თუმცა სარჩელი იმდენად უსაფუძვლო და ტუტუცურია, რომ უნდა ველოდოთ, რომ ნებისმიერი ობიექტური სასამართლო მიიღებს ერთსა და იმავე გადაწყვეტილებას. ვერ წარმომიდგენია, რომელმა სასამართლომ უნდა თქვას, რომ ფურცელზე გამოჟონილი წერტილით შეგიძლია გამოიცნო, რომელ პარტიას ვინ მისცა ხმა, შეგიძლია, დაინახო ის, მიუხედავად იმისა, რომ ყდაშია ფურცელი ჩადებული და თუ მეორე მხრიდან რაღაც წამიერი გამოჩენა არსებობს აპარატში შესვლის დროს, „ქართულ ოცნებას“ დაქირავებული ჰყავს ათეულათასობით ფენომენალური ნიჭის ადამიანი, რომელსაც ბიულეტენის მეორე გვერდიდან გამოჟონილი წერტილის მეშვეობით შეუძლია, წამიერად დააფიქსიროს, რომელი პარტიისთვისაა ხმა მიცემული. ან 300 ათასი ადამიანი ჩართულია კონსპირაციაში, ათასობით ობიექტზე დადიან და სხვის მაგივრად აძლევენ ხმას. იმდენად დიდი აბსურდია, რომ ვფიქრობ, ეს გადაწყვეტილება მიღებულია, რათა მოახდინონ საკონსტიტუციო სასამართლოს დისკრედიტაცია. დღეს მათი პოზიცია ამაზეა ფიქსირებული. სამწუხაროა, რომ დასავლეთში ამ სტრატეგიას ზოგი ვერ იგებს და სიღრმისეულად ვერ ხვდება, ზოგი კიდევ პირდაპირ ჩართულია ასეთი სტრატეგიის დაგეგმვაში.

გია ვოლსკი

P. S. საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით მიმართა, რითიც არჩევნების საბოლოო შედეგების არაკონსტიტუციურად ცნობა მოითხოვა.

ოპოზიციამ ევროკავშირს ანტისახელმწიფოებრივი წერილი „საიდუმლოდ“ გაუგზავნა

...რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენელმა ოთხმა პარტიამ („ნაციონალურმა მოძრაობამ“, „ახალმა“, „ლელომ“ და „გახარია საქართველოსთვის“) ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებს ანტისახელმწიფოებრივი წერილი საიდუმლოდ გაუგზავნეს. ინფორმაცია მათივე პარტიის წარმომადგენლებმა მოგვაწოდეს.

წერილში წერია: **გადაიდოს საქართველო-ევროკავშირის ასოცირებული საბჭოს შეხვედრები, შეჩერდეს ყველა მაღალი დონის პოლიტიკური დიალოგი, გაიყინოს ტექნიკური თანამშრომლობის მექანიზმები, შეჩერდეს 120 მილიონი ევროს ოდენობის ყოველწლიური ფინანსური დახმარების გამოყოფა საქართველოსთვის და ეს თანხები გადანაწილდეს არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ე.წ.დამოუკიდებელ მედიაზე, შეიქმნას სამოქალაქო ორგანიზაციების პირდაპირი დაფინანსების მექანიზმი.**

რადიკალები საპარლამენტო არჩევნების არალეგიტიმურად გამოცხადებას და საქართველოსთან ყველა დონეზე ურთიერთობის შეჩერებას მოითხოვენ. ევროკავშირის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებისთვის გაგზავნილ ანტისახელმწიფოებრივ წერილში ისინი მოუწოდებენ ევროკავშირს, 30 დღის განმავლობაში დაანიცილონ სპეციალური მისია...

ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ ისინი არიან რადიკალური ძალები, რომლებიც ქართულ სახელმწიფოებრიობას ებრძვიან, ისინი ბრიუსელში დარბოდნენ, როცა ასოცირების ხელშეკრულებას ვაწერდით ხელს; კაბინეტებში დარბოდნენ, რომ ვიზა-ლიბერალიზაციის პროცესი გაჩერებულიყო; ასევე, ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით პირდაპირ ჰქონდათ მოწოდებები, რომ ჩვენ ამ სტატუსს არ ვიმსახურებდით. ისინი არიან მოღალატეები, მათი პოლიტიკა გაჯერებულია სიძულვილით, ანტისახელმწიფოებრივი ქმედებით და ამ ყველაფრის შეფასება ისევ საზოგადოებისთვის მიმინდვია. აღარავისთვის არის უცხო, როგორ ოპოზიციურ ძალასთან გვაქვს საქმე – ქვეყნის და საკუთარი მოსახლეობის ღალატი მათი გაცხადებული პოლიტიკაა.

რასაკვირველია, როგორც აქამდე, არც აწი დავუშვებთ მათი გეგმების განხორციელებას. დღეს ხელისუფლება, რომელსაც აქვს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის სრული მხარდაჭერა, არის ძლიერი და შესწევს უნარი, დაიცვას ქვეყანა არეულობისგან.აქვს ძალა, რომ ქვეყანაში მშვიდობა შეინარჩუნოს, შემოტევების და მუქარების მიუხედავად. დაიცვას საქართველოს ინტერესი, ქვეყნის დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი და მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერება, აღმშენებლობა და წინსვლა.

კახა კალაძე.

ისტორიას „შულავერის კომიტეტის“ გაგზავნილი ბევრი წერილი ახსოვს!..

„სამწუხაროდ, საქართველოს ისტორიას შულავერის კომიტეტის მიერ გაგზავნილი ბევრი ასეთი წერილი ახსოვს, მაგრამ ქვეყანამ ყველაფერი გამოიარა და დღეს ფეხზე დგას, განვითარებას აგრძელებს. შულავერის კომიტეტის წერილებს ვინც წერდა, მათი სახელი და გედი ყოველთვის არის ქართული ისტორიის სანაგვეზე!..

ირაკლი ქადაგიშვილი.

ევროპა წყალში ყრის ფულს!..

პარტია „ხალხის ძალის“ წევრი თამარ ჩიბურდანიძე ჟოზეფ ბორელის განცხადებას ეხმიანება.

– ჟოზეფ ბორელმა განაცხადა, რომ იმ ას მილიონს, რომელიც მთავრობისთვის უნდა გადაგვერიცხა, ჩვენს მონა-მორჩილ სამოქალაქო სექტორს გადავურიცხავთო ანუ კვლავ ენჯეოებით სურთ ოპოზიციის დაფინანსება. წარმოიდგინეთ, კიდევ რამდენი ახალი არასამთავრობო შეიქმნება და კიდევ რამდენ ახალგაზრდას გამოულაყებენ ტვინს თავიანთი ფსევდოლიბერალიზმით.

როგორც ჩანს, არც ჟოზეფ ბორელს და არც სხვა ევროპელებს კარგად არა აქვთ ნაკითხული „კანონი უცხოური დაფინანსების გამჭვირვალობის შესახებ“, სადაც საკმარისზე მეტი წერია მათ გასაგებად. თუმცა, ეს პატრონები იმასაც ვერ მიხვდნენ აქამდე, რომ წყალში ყრიან თავიანთი ხალხის ფულს საქართველოში, შედეგზე მაინც ვერ გადიან.

ასი მილიარდიც რომ გამოუგზავნონ ამ ოპოზიციას, ესენი მხოლოდ მათი იქნებიან და არა ქართველი ხალხის, ამიტომაც ვერ იგებენ არჩევნებს.

გამოუშვან, არ არის პრობლემა. იმ ასი მილიონიდან ოცი მილიონი მაინც საშემოსავლოთი გაჭირვებულ ხალხს მოხმარდება. ჩვენ კი ახალი პოლიტიკური სანახაობების მომსწრე გავხდებით აგენტურ რგოლაში...

თამარ ჩიბურდანიძე.

ეს ადამიანები ისტორიაში შევლენ ისე, როგორც ორჯონიკიძე, შადიმან ბარათაშვილი, ყორღანაშვილი!

ეს ადამიანები ჩვეულებრივი ჯაშუშები არიან, ჯაშუშები, რომლებიც ისტორიაში შევლენ ისე, როგორც ორჯონიკიძე, შადიმან ბარათაშვილი, ყორღანაშვილი, – განაცხადა „ქრონიკის“ ეთერში ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ არჩილ გორდულაძემ ოპოზიციის ქმედებების კომენტირებისას.

მისი თქმით, ეს ადამიანები მოქმედებენ ღიად, პირდაპირ, მოღალატეობრივად, საკუთარი ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ, საკუთარი ქვეყნის იმიჯის გაშავებისა და რაც ყველაზე უფრო მძიმეა სუვერენიტეტის გაუქმებისკენ – თითქმოს უცხოეთიდან ვინმემ არჩევნები უნდა ჩაატაროს საქართველოში, გამოძიება დაიწყოს ან ხელისუფლება დანიშნოს.

„ეს ყველაფერი საზოგადოებას, რა თქმა უნდა, არ უნდა გაუკვირდეს იმიტომ, რომ, როდესაც ღიად ასეთ რამეებს აკეთებენ, წარმოიდგინეთ, რა ხდებოდა კულისებში. კრახი არ ვიცი, მაგრამ ჩაფლავება ნამდვილად არის, შეიძლება ვიკამათოთ იმასთან დაკავშირებით კრახია თუ ჩაფლავდნენ, ყოველთვის ჩაფლავდებიან ეს არაადამიანები ქართველი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში“.

არჩილ გორდულაძე:

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე და მმართველი პარტიის აღმასრულებელი მდივანი მამუკა მდინარაძე გამოეხმაურა სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარ ოლივერ ვარჰეის განცხადებას, რომლის თანახმად, უცხოური გავლენის გამჭვირვალობისა და ლგბტ პროპაგანდის საწინააღმდეგო კანონები ძირს უთხრის ფუნდამენტურ უფლებებს. როგორც მამუკა მდინარაძემ განაცხადა, თუკი ევროკავშირის წევრობისკენ გზა ლგბტ პროპაგანდაზე გადის, მაშინ

არასდროს დავუშვებთ, რომ ჩვენს ბავშვებს ლგბტ პროპაგანდა თავს მოვახვიოთ!

ასეთი წევრობა, საქართველოს არ სჭირდება.

„ისეთ ევროინტეგრაციას რა ვუთხარი, ლგბტ პროპაგანდაზე რომ გადის მისკენ გზა! ჩემთვის წარმოუდგენელია, ვიღაცამ ქართველებს გვითხრას, რომ, თუ ბავშვებში ლგბტ პროპაგანდა არ დაიწყეთ, ევროპას ვერ ეღირსებითო. არავის სჭირდება ისეთი წევრობა, რომელიც ლგბტ პროპაგანდაზე და მის მიღება-არ მიღებაზე გადის. საქართველოს თავისი მენტალობა, ცნობიერება, იდენტობა, კულტურა, ისტორია, კულტურული მემკვიდრეობა, ტრადიციები აქვს და არაფრის ფასად დათმობს ამ ყველაფერს. არის რაღაც წითელი ხაზები ნებისმიერი მოქალაქისთვის, რომელსაც ის არაფრით არ გადავა და ეს წითელი ხაზი გადის ქართულ ხასიათზე, ტრადიციაზე, ეროვნულ იდენტობაზე და ამის ფარგლებში არასდროს დავუშვებთ, რომ ჩვენს ბავშვებს ლგბტ პროპაგანდა თავს მოვახვიოთ. ჩვენ დავიცავთ ყველას უფლებებს, ნებისმიერი უმცირესობის უფლებას უფრო მაგრადაც, ვიდრე ევროპის რამდენიმე ქვეყანა. ეს საკითხი ნელ-ნელა დღის წესრიგიდან იხსნება, მათ შორის აშშ-შიც და ესენი ჩვენ ამ საკითხის პოპულარიზაციისკენ მოგვიწოდებენ!.. მე მგონია, რომ ეს წნეხი ნელ-ნელა მოიხსნება“.

მამუკა მდინარაძე

ჯვაროსნობიდან ზაფხულის „გაბიძურჩინებამდე“, ანუ ქართული ოპოზიცია აუსტერლიცის მოლოდინში

გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ბევრ სხვა უცნაურობასთან ერთად, საქართველოში თვალში საცემი ხდება მეტისმეტად ზერელე, აგდებული დამოკიდებულება მშობლიური ქართული ენისადმი. რაც მთავარია, ამგვარი დამოკიდებულება ძლიერდება საქართველოს საოცნებო ევროპასთან დაახლოების კვალდაკვალ. ეს ეხება ქართული ენის გრამატიკული ნორმების რღვევას, უცხოური ტერმინოლოგიის ყოვლად უკონტროლო მოზღვავებას, გაუგებარი ბარბარიზმების დამკვიდრებას, უცხოური ენებიდან თარგმნისა და აზრის სიტყვიერად გადმოცემის საუკუნეობით დამკვიდრებულ კულტურაზე უარის თქმას, სიტყვის (ენის!) ფილოსოფიის დავიწყებას, ტრადიციული ქართული ტერმინების თვითნებურ ინტერპრეტაციას...

ღმერთმა ინებოს, ვცდებოდე, მაგრამ რჩება სრული შთაბეჭდილება, თითქოს ჩვენ, ქართველები, თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაციასთან დაახლოების კვალდაკვალ, ქვეცნობიერად საკუთარი კულტურული მემკვიდრეობისგან გათავისუფლებას ვლამობდეთ.

მოდი, დავიწყოთ ისეთი უწყინარი ტერმინით, როგორიც გახლავთ **„ჯვაროსნები“.**

შეგახსენებთ, რომ ამ ტერმინით მეთხუთმეტე საუკუნის შუა წლებიდან ევროპული ქვეყნების ისტორიოგრაფიაში მოიხსენიება მეთერთმეტე საუკუნის მიწურულს დაწყებული და თითქმის ორასი წლის განმავლობაში მიმდინარე დაპყრობითი ომების ევროპელი მონაწილეები. ქრისტეს საფლავის გათავისუფლების საბაბით მახლობელ აღმოსავლეთში ბიზანტიის იმპერატორ ალექსი კომნენოსისა და რომის პაპის ურბან მეორის ინიციატივით დაწყებულ ამ გრანდიოზულ ავანტიურას ასიათასობით ადამიანის სიცოცხლე და, საბოლოოდ, თავად ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის აღება, ანუ აღმოსავლეთ რომის იმპერიის დასასრული მოჰყვა, ხოლო ამ ომების მონაწილეებს ჯვაროსნებად მათ ფარებზე და აღკაზმულობაზე გამოსახული ჯვრების გამო მოიხსენიებენ.

ბარემ იმასაც შეგახსენებთ, რომ იმ ეპოქის დიდ ქართველ მეფეებს ჯვაროსნებისადმი საკმაოდ ფრთხილი დამოკიდებულება ჰქონდათ და სრულიად სამართლიანადაც.

იმის თქმა მინდოდა, რომ ჟურნალისტების მიერ ქართველი სპორტსმენების ჯიუტად „ჯვაროსნებად“ მოხსენიება მათ სპორტულ აღკაზმულობაზე გამოსახული ხუთჯვრიანი სახელმწიფო დროშის გამო, არაფერია ისტორიის არცოდნისა და ელემენტალური პრიმიტივიზმის გარდა. შორს რომ არ წავიდეთ, აგერ მეზობელი და „ისტორიული მეგობარი“ თურქეთის დროშაზე, შესაბამისად – თურქი სპორტსმენების აღკაზმულობაზე – მთვარეა გამოსახული, მაგრამ ამის გამო თურქ სპორტსმენებს „მთვაროსნებად“ არავინ მოიხსენიებს. სხვათა შორის, არც იაპონელებს მოიხსენიებს ვინმე „მზეოსნებად“ მათ დროშაზე გამოხატული ამომავალი მზის გამო!

ჯვაროსნები იქით იყოს და, ვნახოთ, საერთოდ, რა ენაზე წერენ და ლაპარაკობენ ჩვენი საამაყო სპორტული ჟურნალისტები: „ესაა მოცემულობა, რომელიც საბა საზონოვმა სათავისოდ აუცილებლად უნდა გამოიყენოს, რადგან ნაკლებად სავარაუდოა, რომ ასეთი რამ განმეორებადი იყოს; „დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, გვარდიოლას გუნდის სასტარტო XI-ში იმყოფებოდა 32 წლის კევინ დე ბრუინი, რომელმაც ტრავმა მოირჩინა და ნელ-ნელა ძველ სათამაშო ფორმას კრეფს“;‘ „ხვიჩა კვარაცხელიას ნაპოლი საკუთარ არენაზე ატალანტასთან განადგურდა და მორიგი მარცხი იწვნია“; „ „თუ იგი 3 კვირით იუქმებს, „ბარსას“ „სელტას“, „ბრესტის“ და „ლას პალმასის“ წინააღმდეგ არ ეყოლება“; „ატალანტასთან“ „ნაპოლი“ ბოლო 30 მეტრში იდეის გარეშე იმყოფებოდა“; „17 წლის ესპანელი (ანტონიო კორდერო) პოზიციით მარცხენა გარემარბია. მისი აგენტი პინი ზაჰავი გახლავთ, რომელთანაც „ბლაუგრანას“ პრეზიდენტს ჟოან ლაპორტას ალი;“ „ცნობისთვის, „ჯვაროსნები“ ჩეხეთთან მატჩამდე ბათუმი არენაზე ჩეხეთს მიიღებენ“...

იმედია, კომენტარი საჭირო არ უნდა იყოს. მიჭირს აღიარება, მაგრამ ახლა რომ წაიკითხეთ, იმ წინადადებების ავტორებს წარმოდგენა არა აქვთ ქართულ ენაზე. ან უარესი – მშობლიური ენა ფეხებზე ჰკიდიათ!

ჟურნალისტებმა რომ თავი დაჩაგრულად არ იგრძნონ, სხვა მაგალითებიც ვნახოთ:

„საქართველოს პრეზიდენტმა ორდენით დააჯილდოვა (ესა და ეს ქალბატონი), რომელიც საქართველოსა და შვეიცარიას შორის მედიატორს;“ „საშუალება გვაქვს ყოველდღიურად ვაწარმოოთ ჩვენი ფუნქციონირება;“ „თუ თქვენ ეძებთ საუკეთესო მეორადი მანქანის შეთავაზებებს, იქნებით სწორი ადგილას!“ „ერთიხელდაან ნახეთ მეტი და იქნებით შოკში ჩვენი ფასებიდან!“ „მიიღოს ყველა ზომები რათა ხელი შეუწყოს ყველა აქტივობის გააქტიურებას;“ „თამამი დიზაინი, რომლის თითოეული ელემენტი სრულყოფილებამდე არის მიყვანილი“; „ვიდრე შეძენას მოახდენთ, სოკო ვიზუალურად კარგად უნდა ნახოთ;“ „ჩვენს პარტნიორებთან ერთად, მზად ვართ გაბიძურჩინოთ ზაფხული ყველაზე დაბალ ფასად;“ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1955 წელს აღნიშნული ავტომობილის მხოლოდ ორი ეგზემპლარი იწარმოვა“.

„გაბინძურჩინებას“ რომ თავი დავანებოთ, ჩემთვის განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა, აი, ამ წინადადების შინაარსის გაგება: „მიუხედავად მისი ხანგრძლივი ხანგრძლივობისა, ეს მოგზაურობა გთავაზობთ უფრო მდგრად ვარიანტს ფრენებთან შედარებით და რაც მთავარია მნიშვნელოვნად ნაკლებ ნახშირორჟანგს გამოყოფს მთელი მოგზაურობის განმავლობაში“.

„ხანგრძლივ ხანგრძლივობას“ და „ფრენებთან შედარებით მდგრად ვარიანტებს“ რომ თავი დავანებოთ, ჩემთვის განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა ავტორის მიერ ამ კონტექსტში ნახშირორჟანგის მოხსენიების ახსნა. საქმე ის არის, რომ აქ საუბარია ტურისტულ ელექტრომატარებელზე, რომელსაც ნახშირორჟანგის მოხმარებასა ან მის გამოყოფასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ვიმეორებ, საუბარია თანამედროვე ამერიკულ მატარებელზე და არა ჩემი შორეული ბავშვობის დროინდელ ორთქლმავალზე!

ახლა, ძალიან მოკლედ, ის პერსონებიც გავიხსენოთ, თავი პოლიტიკოსებად რომ მიაჩნიათ.

ბუნებრივია, გვერდს ვერ ავუვლით დემაგოგიური პოლიტიკური პრიმიტივიზმის ერთ-ერთ მამამთავარ ნიკა გვარამიას. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ მისი „ქუჩის თეორია“:„ქუჩა არის ერთადერთი ადგილი, სადაც სახელმწიფოს ბედი წყდება. ქუჩა არის სახალხო დემოკრატიის ყველაზე ძველი ფორმა და ის საჭიროდ რჩება ყველაზე ჩამოყალიბებულ ფუნდამენტურ დემოკრატიებშიც. ქუჩა არ უდრის ძალადობას. ქუჩა უდრის ხალხის აზრის დომინაციას და დემოკრატიის და სახელმწიფოს ხალხის მიერ დაბრუნებას“.

თანამედროვე ქართულ ენაზე გვარამიას ეს ცუდად შეინიღბული დემაგოგია ასე ითარგმნება: „ნებისმიერი საშუალებით უნდა გამოვიყენოთ ახალგაზრდობის სიბრიყვე და გაუნათლებლობა ჩვენი პოლიტიკური მიზნებისთვის. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მათ სიცოცხლეს და ჯა-

1805 წლის 23 სექტემბერს ნაპოლეონმა დაიწყო სამხედრო მოქმედებები რუსეთისა და ავსტრიის წინააღმდეგ. მან შეძლო, სენატი ჯარში გაწვევის გამოცხადებაზე დაეთანხმებინა, შეკრიბა 65 000 ჯარისკაცი და მეორე დილას, 1 ოქტომბერს, ლაშქრით რაინზე გადავიდა. 6 რიცხვში ბავარია აიღო, 20-ში დაიკავა ულმი, 13-ში აიღო ვენა, ხოლო 2 დეკემბერს (ძვ.სტილით 20 ნოემბერს), თავისი გამეფების წლისთავზე რუსებსა და ავსტრიელებს აუსტერლიცის დაბლობზე შეხვდა. ავსტრიელების საჯარისო კორპუსს ფრანც იოსები ხელმძღვანელობდა, ხოლო რუსებისას – ალექსანდრე I, მიხეილ და გენერალი პეტრე ბაგრატიონი. ნაპოლეონმა კარგად შედგენილი სამოქმედო ოპერაციის მიხედვით კოალიციას მარჯვნიდან და მარცხიდან შეუტია და მალევე შეასუსტა ფალანგები. რამდენიმესაათიანი სასტიკი ბრძოლის შემდეგ დაბნეული მოწინააღმდეგეები უკუიქცნენ. უკუგდებულ არიერგარდს ნაპოლეონის ჯარისკაცები უკან მისდევდნენ და ხოცავდნენ. მოკავშირეთა კოალიციამ ჯამში 36 000

ნმრთელოგას. მთავარია, რომ ისინი არიან გამოუცდელები, უვიცები და ადვილად წამოეგებიან ჩვენს ანკესზე“.

სწორედ ახალგაზრდობის მოსაღორეგლად პრიმიტიული დემაგოგიის კლასიკური ნიმუში იყო ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომაზე ნაცმოძრაობის წარმომადგენელ დავით კირთაძის გამოსვლა, ცესკოს თავმჯდომარე კალანდარიშვილისთვის მის მიერ წინასწარ მომზადებული საღეგავის სახეში შესხმა და ამ საქციელზე ნაცლიდერების რეაქცია:

„თქვენი ხელით ჩვენს საქართველოს, ჩვენს მომავალ თაობას წაართვით მომავალი და მიაქანებთ რუსეთისკენ. თქვენ „ბატონო თავმჯდომარესაც ვერ გეტყოდით“, თქვენ ხართ „точка ру“, იმიტომ, რომ შავ ლაქად მოგიხსენიებთ ქართველი ხალხი. თქვენც კარგად იცით, თვითონაც „ქართულმა ოცნებამაც“ კარგად იცის, საზოგადოებამაც კარგად იცის, რომ საქართველოში ყოველი მეორე ქართული ოცნების მხარდამჭერი არაა. ამიტომ თქვენ ხართ ყველაზე ცუდი თავმჯდომარე, რომელსაც შეიძლებოდა ჩვენი ქვეყნისთვის რაიმე გადაწყვეტილება მიეღო; ის ადამიანი, რომელსაც შეეძლო ჩვენი ქვეყანა წინ წაეწია და, სამწუხაროდ, სულ უკუსვლით წაიყვანეთ“.

გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ კირთაძის განცხადების ტექსტს – ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი, ამავე კომისიის შემაჯამებელ სხდომაზე საუბრობს არა არჩევნებისას დაშვებულ შეცდომაზე, გაყალბებაზე, ძალადობაზე, უმნიშვნელო ან მნიშვნელოვან დარღვევაზე (რაც, სხვათა შორის, მისი, როგორც ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლის პირდაპირი ვალდებულებაა!), არამედ საუბრობს, რბილად რომ ვთქვა, თავმჯდომარის ცუდკაცობაზე. თანაც – აბსოლუტურად უარგუმენტოდ, რაიმე, თუნდაც სულელური დასაბუთების მოუშველიებლად. პარტიული კუთვნილებისა და საკუთარი სიმპათია-ანტიპათიების მიუხედავად, ეს საქართველოს უკლებლივ ყველა მოაზროვნე ადამიანისთვის თვალსაჩინოა. დღესავით ნათელია ამ უგუნური და უგვანი გვამის გმირად წარმოჩენის მცდელობის მიზანიც. მაგრამ ყველაფერი ეს, შესაძლოა, გაუგებარი იყოს ოპოზიციის პროვოკაციებზე წამოგებული ახალგაზრდობისათვის. მით უფრო – უკიდურესად აგრესიული და ბინძური დემაგოგიის მწვერვალზე აღზევებული ოპოტელევიზიების ფონზე.

ამიტომ, ბოდიშის მოხდით, ხელისუფლების საყურადღებოდ კიდევ ერთხელ გავიმეორებ: ბოლოს და ბოლოს, იქნებ სერიოზულად იფიქროთ ნამდვილი, სერიოზული, ობიექტური კრიტიკული მედიასაშუალების შექმნაზე. არ არის საკმარისი ე. წ. „სახელმწიფო“ ან „თავისუფალ“ ტელევიზიებში განუწყვეტლივ ერთი და იგივე „ექსპერტების“, პოლიტიკური პერსონების თუნდაც ყოვლად ობიექტური და ჭკვიანური მსჯელობები, უფრო ზუსტად, თავის მართლები, ოპოზიციის წარმომადგენელთა სიცრუეებისა და ცილისწამებების საპასუხოდ. საბედნიეროდ, საქართველოში არიან პატიოსანი პროფესიონალები, რომლებიც ხელისუფლებას, უფრო სწორად, ქვეყანას მხარში ამოუდგებიან. დარწმუნებული ვარ, მოიძებნება პატრიოტი და პატიოსანი მიზნესმენიც, ვინც ასეთი, ხაზს ვუსვამ – თავისუფალი გეჯდური მედიასაშუალების დაფინანსებაზე უარს არ იტყვის.

ვიდრე ხელისუფლება ცესკოში განვითარებული მოვლენების თაობაზე ფიქრობს, გარემ ორიოდე გამოჩენილი ქართველი ოპომოაზროვნეების კომენტარებიც გავიხსენოთ.

ნიკა გვარამია: „დათო კირთაძეზე სისხლის სამართლის საქმე აღძრეს. ყველანი დავიცავთ კაცს, რომელმაც ყველაზე ნათლად და თვალსაჩინოდ დაგვანახა, როგორ „გაუონა“ გიძინას საარჩევნო სისტემამ! გაგიმარჯოს, კირთა!“

ეს გახლავთ არა სიმამაცე ან გონიერება, არამედ ახალგაზრდობის წაქეზება დანაშაულებრივი ქმედებისკენ, რაც არ ეკადრება პოლიტიკოსობაზე პრეტენზიის მქონე თუნდაც გენიალურ პერსონას, მაგრამ ეკადრება საკუთარი მიზნის მისაღწევად ყველა სიბინძურეზე წამსვლელ გვარამიას.

ზუსტად იმავეს იმეორებს გვარამიას კარიკატურა ვაშაძე: „ყველამ ავიღოთ მელანი, ვინც სადაც გამყალბებელს ვნახავთ, შევასხათ სახეში, ეს არის გეგმა“.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ: გვარამიას, ვაშაძის, ხაზარაძის, ბოკუჩავას მიზანი ერთადერთია – ნებისმიერი საშუალებით ხელისუფლებაში აღზევება. ახალგაზრდობა? – ახალგაზრდობა მათთვის არის არარაობა, ქვების უსარგებლო გროვა, რომელიც შეიძლება პოლიციელების დასაშინებლად გამოიყენონ და მერე სანაგვეზე მოისროლონ.

ხელისუფლებამ როგორმე სწორედ ეს უნდა გააგებინოს იმ საზოგადოებას, ვისთვისაც ხელისუფლება იღვწის. სხვანაირად, ყველა მისი ძალისხმევა წყალში გადაყრილი აღმოჩნდება.

✦ ✦ ✦

რაც შეეხება აუსტერლიცს. 1805 წლის 2 დეკემბერს (20 ნოემბერს) საფრანგეთის არმიამ ჩეხეთის სოფელ აუსტერლიცთან სასტიკად დაამარცხა რუსეთისა და ავსტრიის იმპერიების გაერთიანებული არმია. ეს ბრძოლა ითვლება სამხედრო სტრატეგიის ბრწყინვალე ნიმუშად მსოფლიო ისტორიაში. თანამედროვე ქართული ოპოზიციისთვის აუსტერლიცზე ოცნებაც კი ძალიან სასაცილოდ გამოიყურება. სხვას რომ თავი დავანებოთ, მაშინდელი საფრანგეთის არმიას უშუალოდ ხელმძღვანელობდა გენიალური ნაპოლეონ ბონაპარტე, ვინც თვითონ წარმართავდა სამხედრო ოპერაციებს და თვითონ იღებდა გადაწყვეტილებებს. რაც მთავარია, ნაპოლეონმა იცოდა, რისთვისაც იბრძოდა. თანამედროვე ქართული ოპოზიციის მეთაური კი გახლავთ კოლექტიური „ხაგე“, ვინც ვინმე უჩინარი უცხოელების კარნახით მოქმედებს და, რაც მთავარია, თვითონაც არ იცის, რატომ იბრძვის და რისთვის.

თეიმურაზ ძორიძე

ჯარისკაცი, 180 ქვემეხი დაკარგა და სრულიად დაშლილ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ხოლო ფრანგებმა – 9 000 კაცი. ამ ბრძოლის შედეგად საბოლოოდ დამარცხდა მე-3 ანტიფრანგული კოალიცია, ხოლო ავსტრიამ დეკემბერში ხელი მოაწერა პრესბურგის საბავო ხელშეკრულებას და ომიდან გამოვიდა. ეს ბრძოლა, ასევე, ცნობილია, როგორც სამი იმპერატორის ბრძოლა.

ვნახოთ. 1805 წლის, პარდონ, 2024 წლის 2 დეკემბრამდე ხომ ბევრი აღარაფერი რჩება. იმედია, ამის შემდეგ ბრძოლებით დაღლილი ჩვენი თანამემამულეები, განსაკუთრებით, პოლიტიკოსები მშობლიური ენის პრობლემებითაც დაინტერესდებიან. ბოლოს და ბოლოს, მიხვდებიან, რომ მათი ნაუბარი, მართალია, ესმით ბალტიისპირეთისა და სკანდინავიის ქვეყნების წარმომადგენლებს, განსაკუთრებით, ხაზარაძის მეგობარ წითელ მიხაილს (მიხაილ როტს), ზოგიერთ ევროპარლამენტარსაც კი, მაგრამ არ ესმის მთავარ ადრესატს – ქართველ ხალხს.

ნუ მკითხავთ, 2 დეკემბერი რა შუაშია – თარიღი ხომ უნდა დამესახელებინა!..

თ. ძ

მაია ბითაძე:

ეს არის ბოლო გაფართხალება...

ჩვენ ვაკვირდებით მოვლენების განვითარებას, როგორ მშვიდობიანად მოახდინა პოლიციამ დღეს ქალაქის პიკეტირების აღკვეთა. ამას აკვირდებიან ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები, ის ელჩები, რომლებიც აქ არიან წარმოდგენილები, რომლებიც დესტრუქციული განცხადებებით გამოირჩევიან და არ ვიცი, როდის აპატიებს ჩვენი მოსახლეობა მათ ამ ქმედებას, – განაცხადა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ მაია ბითაძემ.

„იმას, რისკენაც გვიბიძგებენ, ეს კიდევ მეორე საკითხია, მაგრამ მათი უკვე არსებული რეაქციები ცხადყოფს იმას, რომ მათაც ძალიან კარგად იციან, თუ როგორ მშვიდობიანად და როგორ სრულფასოვნად ჩატარდა 26 ოქტომბრის არჩევნები, იმ მცირე გადაცდომებით, რომელიც არა თუ ქართული არჩევნებისთვის იყო ადრე დამახასიათებელი, არამედ დამახასიათებელია არჩევნებისთვის მთელს დემოკრატიულ სამყაროში.

უცხოელმა პარტნიორებმაც ძალიან კარგად იციან, რეალობა რაც არის და „ბოლო გაფართხალება“, რასაც ახლა ჩვენ ვუყურებთ რადიკალების მხრიდან, დიდი იმედი მაქვს რომ არ იქნება აქტიურად მხარდაჭერილი, გარდა იმ რადიკალური ძალებისა, მათ შორის ევროკავშირის მხრიდან, ინდივიდუალურ პერსონებს ვგულისხმობ, რომლებიც საკუთარ ქვეყანაშიც კი გარიყულები არიან უკვე პოლიტიკურად.

მე ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ევროკავშირში საღი აზრი საბოლოოდ გაიმარჯვებს იმიტომ, რომ ამ ადამიანებს ჩვენთან ერთად მოუწევთ მუშაობა. მათ ძალიან კარგად იციან, „ქართული ოცნება“ რამდენს აკეთებს ევროინტეგრაციის გზაზე, მაგრამ იმის პარალელურად, რომ ამ ქვეყანაში მშვიდობა უნდა იქნეს შენარჩუნებული და საქართველო ამ ძალიან რთულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში არ უნდა იქნეს გამოყენებული როგორც სათამაშო ბურთი რომელიმე სხვა დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშეებისთვის. ჩვენ აქ არ გვინდა ის სცენარი, რაც უკრაინაში უკვე დაატრიალეს და ახლა ვხედავთ საერთაშორისო დონეზე რა ხდება....

მოვუწოდებ ახალგაზრდებს და მათ მშობლებს, რომ კარგად დაფიქრდნენ, სად მდებარეობს გეოგრაფიულად საქართველო, რა გამოწვევების წინაშე ვართ და რის შენარჩუნებას ცდილობს „ქართული ოცნება“. მე არაერთხელ მითქვამს, რომ „ქართული ოცნება“ შეიძლება მოგწონდეს ან არ მოგწონდეს, მაგრამ თავი ისე როგორ უნდა მოატყუებინო ვინმეს, რომ ეს პარტია არ არის ევროინტეგრაციის მომხრე, როდესაც სწორედ მისი დამსახურებაა ყველა სიკეთე, რაც ევროინტეგრაციის გზაზე გვაქვს მოპოვებული, კანდიდატის სტატუსის ჩათვლით“, – აღნიშნა მაია ბითაძემ.

✦ ✦ ✦

გაუშინ გამთენიისას, შინაგან საქმეთა სამინისტრომ განცხადება გაავრცელა, სადაც აქციის მონაწილეებს მოუწოდა, გაათავისუფლონ ჭავჭავაძის გამზირისა და ვარაზისხევის მიმდებარე ტერიტორია ხელოვნურად აღმართული კონსტრუქციებისგან და პროტესტი გამოხატონ კანონით დადგენილ ფარგლებში.

ამის შემდეგ სამართალდამცველებმა ჭავჭავაძის გამზირისა და ვარაზისხევის მიმდებარე ტერიტორიიდან კარვები და ის ტრანსპორტი გაიტანეს, რომლითაც აქციის მონაწილეებს გზის სავალი ნაწილი ჰქონდათ ჩახერგილი. დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებმა კი ტერიტორია მოაწესრიგეს, ხოლო აქციის მონაწილეებმა მელიქიშვილის გამზირზე გადაინაცვლეს.

ვარაზისხევში რადიკალური ოპოზიციის მომხრეებმა კარვების გაშლა კვირას გვიან ღამით დაიწყეს. „კოალიცია ცვლილებებისთვის“ ლიდერებმა მხარდამჭერებთან ერთად ვარაზისხევი, ჭავჭავაძისა და მელიქიშვილის გამზირი, ასევე კეკელიძის ქუჩა გადაკეტეს და 24-საათიანი უწყვეტი პროტესტი დაიანონსეს. თსუ-ის მიმდებარედ, ცენტრალურ სავალ გზაზე კი კარვები გაშალეს – სულ, დაახლოებით, 30-მდე კარავი.

გუშინ აქციის მონაწილეებმა მელიქიშვილის ქუჩა გადაკეტეს...

ეშმაკის მოციქულნი

არჩევნებიო – დავარქვით თორემ
ისედაც ცხადი გახლდათ შედეგი,
რვაჯერ რომ ვინმეს გალახავ მწარედ
მეცხრედ ვინ არის მისი მშველელი,
„ახლებს“ ირქმევენ უსამშობლონი
ჰგონიათ ყველას გვჭირს დემენცია,
მათნაირ „ჯირკვლებს“ უნდა ვაღირსოთ
მჭრელი სკალპელით ვივისექცია...
ეს საბრალონი ისე გაბანძდნენ
ენჯეოების გახდნენ საშველნი,
ვინც ევროპაში დედამ დაწყევლა
აქ ჩამოერთნენ, როგორც მაშველნი.
აგვისტოს ომის სცენარის მსგავსად
ფიასკოს შემდეგ მიეცნენ ლხენას,
გული ხომ უნდა გადააყოლონ
დასავლეთისგან ჩვეულნი ფრენას!..
ცოცხალი ლეში არავის ახსოვს
„ვივამედთანაც“ გაწყდა კავშირი,
ნაცმო მესამე ადგილზე დასცეს
მიტოვებული, ვით მეფე ლირი...
ამ დროს კი ტრამპის ამერიკაში
ლიბერასტებმა დაიწყეს კვნესა,
მალე აქეთაც შეირისხება
ვინც აგენტია, ბოზი და ქლესა.
გერმანია ხომ მთლად დააჩმორეს
შოლცის პარტიას შეუდგა წყალი,
ბისმარკის სისხლმა უნდა იყივლოს
რომ ევროპაში ჩადგეს ავდარი.
„დაუნდობელი“ ძია მაკრონი
ოპოზიციას უმზადებს ციხეს,
ისტორიული მეხსიერება
მის კარიერას დაადებს კლიტეს.

✦ ✦ ✦

დაბოლოს – მოდით, წარმოვიდგინოთ
საკანონმდებლოს პირველი სხდომა,
მართლაც რომ, რჩეულთ იხილავს
ხალხი,
ქუჩას კი კვლავაც წალეკავს ბოღმა...

ჯოჯო პირველი

ჯორჯ ბალანჩინის სახელობის ფესტივალი ქუთაისში

ჯორჯ ბალანჩინის
სახელობის V საერთაშორისო
ქორეოგრაფიული ფესტივალი
GEORGE BALANCHINE
KUTAISI V INTERNATIONAL
CHOREOGRAPHIC FESTIVAL
ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲛᲘᲜᲘ
ᲛᲔᲚᲝᲓᲘᲐ ᲠᲘᲩᲐᲠᲓᲘᲡ

ნამდვილი არაგველის დაუვიწყარი ღვაწლი

ამ დღეებში 95 წელი შეუსრულდებოდა უმწიკვლო მოღვაწეობითა და შრომითი ბიოგრაფიით გამორჩეულ პიროვნებას ლონგინოზ ზაქაიძეს, სახელმწიფო მოღვაწეს, ქვეყნის ერთგულ მოქალაქეს, საქართველოს პურპროდუქტების სისტემის გამორჩეულ ხელმძღვანელს.

ლონგინოზ ზაქაიძემ თავისი სწორი ხედვით და დარგში პროფესიონალების შემოკრებით განაპირობა ხალხისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პურპროდუქტების დარგის გამართული, მყარი მუშაობა საკმაოდ დაძაბულ და ეკონომიკურად რთულ 1986-91 წლებში. მოგეხსენებათ, როგორი მნიშვნელოვანია ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება!

ლონგინოზ ზაქაიძე ერთ-ერთი განსწავლული პრაქტიკოსი მეურნე გახლდათ, ვინც კარგად ერკვეოდა სოფლის მეურნეობის და გადამმუშავებელი მრეწველობის ეკონომიკის საკითხებში. ეს განპირობებული იყო მისი ცოდნითა და გამოცდილებით, რომელიც წლების განმავლობაში დააგროვა დარგში ნაყოფიერი მოღვაწეობით.

ამ ადამიანში დომინანტობდა უზარმაზარი შინაგანი პასუხისმგებლობა, რომელსაც ის უკავშირებდა პურპროდუქტების დარგს და მიაჩნდა ის პრიორიტეტულ მიმართულებად. სწორედ ამიტომ მისმა სამუშაო გარემომ, რომელიც გამოცდილ, მცოდნე ადამიანებს ეყრდნობოდა, განაპირობა დროის გამოწვევებთან გამკლავება.

მარტივი არ იყო საზოგადოებრივი წყობილების შეცვლა, ენერგო და ეკონომიკური კრიზისი, განსახელმწიფოებრიობა, აფხაზეთის მოვლენები და უამრავი სოციალური რუტინა, რომელიც პირველ რიგში ამ დარგზე აისახებოდა.

არადა, პური ადამიანის პირველი რიგის სასურსათო პროდუქტია. როგორი საყურადღებო და გასათვალისწინებელია თითოეული ნიუანსი, რომელიც დროის გამოწვევებმა მოგვიტანა და მასთან გამკლავება არც თუ ისე მარტივი იყო.

ლონგინოზ ზაქაიძე დაიბადა დუშეთის რაიონის სოფელ ხარტიშოში 1929 წელს. იგი ერთი იმათთაგანი იყო, რომელსაც ღრმად სწამდა პიროვნული ნიჭიერების, მონდომებისა და პროფესიონალიზმის. კატეგორიულად არ იზიარებდა, თითქოს კომუნისტების დროს ადამიანი გამორჩეული უნარის მიხედვით, თანამდებობრივად ვერ დაწინაურდებოდა. ამას თვით მისი განვლილი ცხოვრების გზაც ადასტურებს. სოფელში, რვაშვილიან ოჯახში გაზრდილი ახალგაზრდა თავისი ცოდნითა და გამოცდილებით იკავებდა ქვეყანაში მაღალ და ფრიად საპასუხისმგებლო თანამდებობებს.

1950 წელს დაამთავრა სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. მუშაობა დაიწყო სატყეო სამინისტროში რიგით ეკონომისტად, ნიჭიერი და მცოდნე სპეციალისტი სულ მალე ამ სამინისტროს საფინანსო განყოფილების ხელმძღვანელად დააწინაურეს. შემდგომ, როგორც გამორჩეული ახალგაზრდა, გადაიყვანეს მაშინდელ მინისტრთა საბჭოში, მერე კი ქვეყანაში კიდევ უფრო მაღალ თანამდებობაზე მოუწია მუშაობა. როგორც საქმის ღრმა მცოდნე და ერუდირებული სპეციალისტი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სოფლის მეურნეობის საკითხებს საქართველოს მთავრობაში.

გასული საუკუნის 60-80-იან წლებში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების საქმეში ლონგინოზ ზაქაიძეს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის, სწორედ ის იყო მეხილეობის, მევენახეობის, მეჩაიეობის, სოფლის მეურნეობის სხვა დარგების მდგრადი განვითარების ინიციატორი. მისი პროფესიონალიზმი და ღრმა ანალიზი ყოველთვის ზუსტად ასახავდა ქვეყნის სოფლის მეურნეობის ეკონომიკური განვითარების კონცეფციას. თუმცა იმასაც აღნიშნავდა, რომ სოციალიზმის პირობებში პრიორიტეტებს ცენტრალური ხელისუფლება უსაზღვრავდა მოკავშირე რესპუბლიკებს, რის გამოც ხორბლის წარმოება საქართველოში არ იყო პრიორიტეტული, დამოუკიდებელ ქვეყანას კი ეს სურსათის უსაფრთხოებაში ვერ წაადგა და ამ მიმართულებით დღესაც აუცილებელია სოფლის მეურნეობის მობილიზება.

მართალი კაცი იყო და სიმართლეს არ ერიდებოდა, ვისაც ხელეწიფებოდა, მოუწოდებდა, ეს გამოწვევა დაძლეულიყო.

ბატონი ლონგინოზი საქართველოს უმაღლესი საბჭოს რამდენიმე მოწვევის დეპუტატი გახლდათ, სადაც აგრარულ კომიტეტს ხელმძღვანელობდა. მისი ყველაზე დიდი ღირსება თავმდაბლობა, საქმეში ღრმა ჩაწვდომის უნარი გახლდათ. სწორედ ამ ნიშნით, მისი ხელმძღვანელობით იზრდებოდნენ ის კადრები, ვინც პურპროდუქტების სისტემაში ურთულესი 90-იანი წლები, მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, კარგად გაიარა. მაშინ მინისტრის მოადგილედ გადაიყვანა გამოცდილი ინჟინერ-ტექნოლოგი **იური ოსიპოვი,** რომელიც რესპუბლიკაში პურის წარმოებას კურირებდა, ხოლო ფქვილის წარმოების დარგში მინისტრის მოადგილედ ასევე პროფესიონალი **თამაზ ახალკაცი** დააწინაურა, რომელსაც დაძაბული შრომა ჯანმრთელობის ფასად დაუჯდა.

ჩვენთვის ყოველთვის სასიამოვნოდ მოსაგონებელია ლონგინოზ ზაქაიძის პრინციპულობა და შეუვალობა.

პატიოსნება და წესიერება ამ კაცის საავიზიტო ბარათი იყო. სწორედ ამიტომაც არ უჭირდა სიმართლის პირში თქმა. მაგალითად, 1977 წელს, როდესაც მინისტრის რანგში ქვეყნის მაშინდელ პირველ პირს შეეკამათა, პირველად მას უწოდეს მთავრობის ოპოზიციონერი!... არადა, ეს ოპოზიციონერობა ქვეყანას სასიკეთოდ წაადგა.

გაგახსენებთ, რომ მაშინ პურპროდუქტების სფეროში გაჩნდა მარეგულირებელი ორგანო, რომელიც დროის რთულ გამოწვევებს არეგულირებდა. ამის საჭიროებას უცხოელი ექსპერტებიც ადასტურებდნენ. შემდგომ, როდესაც საომარი მოქმედებები დაიწყო, პურის შეუფერხებელი მიწოდება საჰაერო გზით ხორციელდებოდა, ეს არ გახლდათ მარტივი. თბილისის პურის ქარხნები რიგრიგობით აეროპორტიდან, ხელმძღვანელების მონაწილეობით, სოხუმში აგზავნიდნენ პროდუქტს. პირადად მინისტრი და მოადგილეები ხვდებოდნენ პურის მანქანებს, ზოგჯერ სოხუმშიც მიჰყვებოდნენ, რათა სერიოზული გაუგებრობა არ შექმნილიყო.

ერთ-ერთი რეისის დროს სოხუმის აეროპორტში ტრაგედიაც დატრიალდა, მაგრამ ამაზე სხვა დროს მოგითხრობთ.

ლონგინოზ ზაქაიძე არასოდეს არ ივიწყებდა მშობლიურ დუშეთს (ფშავ-ხევსურეთს). მისი თაოსნობით არაერთი საინტერესო პროექტი განხორციელდა. მაგალითად, სოფელ არანისში საბჭოთა კავშირის გმირის, მფრინავ ზაქრო ხიტალიშვილის უკვდავსაყოფად დაიდგა ძალიან ორიგინალური ძეგლი; ასევე, ჟინვალის კომპლექსის განაშენიანებასა და განვითარებაში თავისი წვლილი ჩადო. იგი ნაღდი არაგველი გახლდათ. მისი წინაპრები ხადის ხეობის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ ზაქათიდან მე-18 საუკუნეში სოფ. ჩარგალში ჩამოსახლებულან და რაზიკაშვილებს დამოყვრებიან. ვაუაფშაველა თურმე არაერთხელ სტუმრობდა ლონგინოზ ზაქაიძის წინაპრების ოჯახს და ამას სიამაყით იხსენებდა, სისტემატურად ჩადიოდა დუშეთში და რაიონის მოსახლეობას ყოველთვის გვერდში ედგა.

ტკივილიანი კაცი გახლდათ – ბუნებამ გვარის გამგრძელებელი მემკვიდრე არ შეარჩინა, მაგრამ ის მაინც იმედიანად იყო და ეფერებოდა ქალიშვილსა და საყვარელ შვილიშვილებს, მათ მონაგარს. დღეს ეს ადამიანები ჩვენი საზოგადოების ღირსეული წევრები არიან და გვინდა, იცოდნენ, რომ მათი წინაპარი ღირსეული და ქვეყნის ერთგული პიროვნება გახლდათ, რომელმაც თავისი მოღვაწეობით ნათელი კვალი დატოვა. სწორედ ამიტომ ამ წერილით გვინდა, გამოვხატოთ დიდი მოწიწება და პატივისცემა ქვეყნის მოჭირნახულე ადამიანის მიმართ.

იური ოსიპოვი,
საქართველოს პურპროდუქტების მინისტრის ყოფილი მოადგილე;
მალხაზ დოლიძე,
ტექ. მეც. დოქტორი, პროფესორი. საქართველოს პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე.

სოფელ მარნის განახლებული სკოლა

ლის გამოწვევის ფონდი-საქართველოს მიერ გამოცხადებულ კონკურსებში. სასიხარულოა, რომ ცენტრის ბაზაზე ჩამოყალიბებული მოსწავლეთა გუნდები კონკურსების არაერთგზის გამარჯვებულები და პრიზიორები არიან. ვულოცავ მორიგ წარმატებას ცენტრსა და მის მოსწავლეებს“, – ამბობს თალიკო ჟვანია.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის – „ლეონარდო და ვინჩი“ – მონაწილეებს გამარჯვებას ულოცავს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი. აკადემიკოსი დავით გურგენიძე ვირტუალური მოდელირების და კონსტრუირების საუნივერსიტეტო ცენტრს, მოსწავლეებს და გამარჯვებული გუნდების სკოლებს წარმატებებს უსურვებს.

„ვულოცავ მორიგ წარმატებას ვირტუალური მოდელირების და კონსტრუირების ცენტრსა და მის მოსწავლეებს. კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი“ რუსთაველის ფონდის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და პოპულარული პროექტია, რომელსაც ფონდი სამინისტროს ხელშეწყობით ახორციელებს. კონკურსში მონაწილეობა სკოლის ნებისმიერი მოსწავლისთვის არა მხოლოდ პრესტიჟულია, არამედ, დიდწილად განაპირობებს თითოეული ახალგაზრდის სამომავლო ინტერესებს. კიდევ ერთხელ ვულოცავ ახალგაზრდებს და მათ მენტორებს კონკურსში გამარჯვებას“, – აცხადებს დავით გურგენიძე.

სტუ-ის ინფორმაციით, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის – „ლეონარდო და ვინჩი“ (LEO 2024) – ფინალურ ეტაპზე გადავიდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტის ვირტუალური მოდელირებისა და კონსტრუირების ცენტრის ბაზაზე შექმნილი მოსწავლეთა ექვსი გუნდი შემდეგი პროექტებით:

„SMART ლიფტი – ლიფტის უსაფრთხო და შშმ პირებზე ადაპტირებადი სისტემა“ (დავით ოსეფაიშვილი, ვახტანგ მგელაძე, მაკინე თოდუა);

„ქვევრში ღვინის დაყენება მაღალტექნოლოგიური მეთოდით“ (ნიკოლოზ კარბელაშვილი, ნინო სულამანიძე, იაკობ ავთანდილაშვილი);

„მდინარეების მონიტორინგის სისტემა“ (საბა გულბიანი, გიორგი გაბელია, ანდრია კოსტავა);

„მეგაღე როგოტი“ (დავით და მარიამ ვახტანგაძეები, ლადო ადამია);

„წყლის ნავთობისაგან გამწმენდი უპილოტო ნავი“ (ზვიად ფრუიძე, ლუკა ფორჩხიძე, ელენე ქაჩიბაია, ლუკა წოწორია, ანა სალდაძე);

„ეკომეგობრული, ჭკვიანი თევზის ფერმა“ (გიორგი გომაძე, ალექსანდრე ჯელია, ნიკა აბულაძე, მართა თოდუა, ელისაბედ გეგეშიძე).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ მარნის საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია განხორციელდა.

ახლად რეაბილიტირებულ სკოლას განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი ალექსანდრე წულაძე და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორი ირაკლი კუპრავა ესტუმრნენ, განახლებულ ინფრასტრუქტურას გაეცნნენ და სასკოლო საზოგადოებას თანამედროვე სტანდარტების შესაბამის საგანმანათლებლო სივრცეში სასწავლო პროცესის გაგრძელება მიულოცეს.

ღონისძიებას სააგენტოს დირექტორის პირველი მოადგილე ლევან მუშკუდიანი, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ვიბლიანი და აბაშის მუნიციპალიტეტის მერი გიგა გაბელაია ესწრებოდნენ.

200 მოსწავლეზე გათვლილი მარნის საჯარო სკოლის რეაბილიტაციის პროექტის ღირებულება 2,5 მლნ ლარზე მეტია.

თანამედროვე სტანდარტების შესაბამის სკოლაში, სასწავლო სივრცეების პარალელურად, ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები, რესურსოთახი, ექიმის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, ბუფეტი და სპორტული დარბაზი.

სკოლა სრულად არის ადაპტირებული – მოეწყო ლიფტი, ადაპტირებული სანიტარიული კვანძები და პანდუსი.

ბჟანია ტამიშში რჩება — სოხუმს არძინბას კლანი აკონტროლებს!

როგორც ვიუწყებოდით, აფხაზეთი პროტესტმა მოიცვა.

საპროტესტო ტალღა იქნება მანამ, სანამ პარლამენტიდან არ გაიწვევენ კანონს „მრავალფუნქციური კომპლექსების სამართლებრივი სტატუსის რეგულირების შესახებ“. აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტს კანონი 15 ნოემბერს უნდა მიეღო, რაც ცნობილი გახდა ადგილობრივი ოპოზიციისთვის, რომლის ლიდერი არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია **„აფხაზთა სახალხო მოძრაობის“** თავმჯდომარე და ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის ეკონომიკის ყოფილი მინისტრი ადგურ არძინბა. მან ოპერატიულად შეძლო მოქალაქეების მობილიზება და შესაბამისად, ე.წ. პარლამენტმა კანონი ვერ მიიღო, თუმცა ამ დრომდე სადავო კანონი გაწვეული არ არის.

როგორც ადგილობრივი მკვიდრი **for.ge**-სთან საუბრისას აცხადებს, საფრთხე იმისა, რომ აფხაზეთში ბინების რუსეთის მოქალაქეებისთვის მიყიდვა და დოკუმენტების რატიფიცირება მოხდეს, ისევ დიდია.

ასევე, აფხაზეთში არის ინფორმაცია, რომ იგეგმება იმ სამხედროების დასახლება, რომლებიც უკრაინაში ომობენ. ეს სერიოზული პრობლემაა ჩვენთვის და სწორედ ამიტომ გამოვიდა ხალხი ქუჩაში. აფხაზები რუსეთის ამ პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდიან და ჩვენ არ დავუშვებთ, რომ აფხაზეთში აფხაზები აღმოვჩნდეთ უმცირესობაში“, – აცხადებს ადგილობრივი მკვიდრი.

ვითარება რთულია. დე ფაქტო პრეზიდენტი ასლან ბჟანია, რომელმაც 15 ნოემბერს მთავრობის სასახლე დატოვა, დღემდე მშობლიურ ტამიშში რჩება. ბჟანია დაცვამ თავდაპირველად გულრიფშში ე.წ. სამთავრობო რეზიდენციაში გადაიყვანა, თუმცა უსაფრთხოების გათვალისწინებით, დე ფაქტო პრეზიდენტი ტამიშში გადაიყვანეს. პოლიტიკური დაპირისპირება კლანებს შორის უმართავი ხდება. ბჟანიას მხარს უჭერს სოხუმი-ოჩამჩირის კლანი, ხოლო ადგურ არძინბას მხარს უჭერს გუდაუთის კლანი.

ამ ჯგუფის უკან დგანან როგორც რუსეთის, ასევე თურქეთის სპეცსამსახურები. არძინბას ჯგუფი ლობირებს აფხაზეთში თურქულ ბიზნესს, როგორიც არის სამშენებლო და ტურისტული ბიზნესი. ისინი ჭარბად არიან წარმოდგენილი აფხაზეთის ტერიტორიაზე. ცხადია, რომ მათ ინტერესში არ შედის აღნიშნული კანონის მიღება, რადგან ასეთ შემთხვევაში კარგავენ ბიზნესგავლენას აფხაზეთში. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურები (**ФСБ**), დაპირისპირებულნი არიან სამხედრო დაზვერვის სამმართველოსთან (**ГРУ**). აფხაზეთში **ФСБ** ლობირებს თურქულ ბიზნესებს და აფინანსებს არძინბას ორგანიზებით გამართულ საპროტესტო აქციებს. აქ მნიშვნელოვანია ისიც, რომ გუდაუთის კლანის საპრეზიდენტო კანდიდატი არის სწორედ ადგურ არძინბა, რომელიც მხარდამჭერებს უკვე ეძებს კრემლში. მისი წარმომადგენელი და ოპოზიციის წევრი თემურ გულია აცხადებს, რომ თუკი „პრეზიდენტი“ არ გადადგება, უკვე დღეს საკოორდინაციო საბჭო დროებით მთავრობას შექმნის.

მხარდამჭერების ძიებაში მყოფი ადგურ არძინბა საოკუპაციო ხელისუფლებას მიმართავს, რომ გადაიდოს ყველა აქტუალური საკითხი, რომელიც ყოფს ხალხს და აღელვებს საზოგადოებას მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებამდე.

თავის მხრივ, ტამიშში დაბანაკებული ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტი ასლან ბჟანია მოქალაქეებს მოუწოდებს, პროვოკაციებს არ აჰყვნენ და არასანქცირებულ საპროტესტო აქციებში მონაწილეობა არ მიიღონ. თუმცა, როგორც ჩვენი წყარო ამბობს, დიდი ალბათობით, კვირის ბოლომდე ბჟანია გააკეთებს განცხადებას გადადგომასთან დაკავშირებით. სოხუმში ელოდებიან რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელს და სწორედ ამ ვიზიტზეა დამოკიდებული როგორ განვითარდება აფხაზეთში პროცესები.

„მოვუწოდებ ჩვენს მოქალაქეებს, ყურადღებით მოუსმინონ ჩემს სიტყვებს. ძვირფასო თანამოქალაქეებო, ნუ აჰყვებით პროვოკაციებს. არ მიიღოთ მონაწილეობა უკანონო, არასანქცირებულ აქციებში. ახლა ეს არ გვჭირდება. ახლა არის დრო, როდესაც უნდა ვიზრუნოთ ჩვენს ქვეყანაზე, ჩვენს სამშობლოზე, ის საფრთხეშია და ჩვენი სამშობლო ამ მდგომარეობაში იმ ადამიანების ქმედებების შედეგად აღმოჩნდა, რომლებიც სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას შეეცადნენ. ჯერ კიდევ არ არის გვიან ყველაფრის უკან დაბრუნება. კრიზისიდან გამოსავალი მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებია. არჩევნები აჩვენებს, თუ ვინ სურს პრეზიდენტად მრავალეროვან აფხაზ ხალხს. ეს არის გამოსავალი. არ არის გვიანი ამ ვარიანტის გამოყენება“, – აღნიშნა **ასლან ბჟანიამ.**

როგორ განვითარდება პროცესები აფხაზეთში, ამის პროგნოზირება რთულია. აფხაზური პროტესტი რუსული ინვესტიციების წინააღმდეგ განსხვავებული რაკურსით დაინახეს თბილისში, პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა და რადიკალურმა ოპოზიციამ, რომლებიც საკითხს ისე წარმოაჩენენ, თითქოს ქართული ოპოზიციის მსგავსად, აფხაზური ოპოზიცია რუსეთს უპირისპირდება.

სინამდვილეში, არძინმა და მისი კლანი ცნობილია ქართველების მიმართ რადიკალური განწყობებით და სიძულვილით. **სალომე ზურაბიშვილის განცხადებას კი არძინბა მყისიერად გამოეხმაურა: „მინდა, შევახსენო საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც თავის შეფასებებში ეროვნული მითოლოგიით ხელმძღვანელობს და არა რეალობითა და საღი აზრით. აფხაზეთის რესპუბლიკა არის თავისუფალი ქვეყანა, რომელიც დამოუკიდებლად განსაზღვრავს თავის ბედს, განვითარების მიმართულებებსა და ეროვნულ ინტერესებს... ასე რომ, გაურკვეველია, ვის მიმართ არის სოლიდარული ქალბატონი ზურაბიშვილი, რომელთანაც აშკარად განსხვავებული შეხედულებები გვაქვს არა მხოლოდ სამშობლოს აწმყოსა და მომავალზე, არამედ ქვეყანაში ცხოვრებაზე, პოლიტიკაზე და, ალბათ, მორალზე“,** – განაცხადა არძინბამ.

მან ასევე კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ აფხაზური ოპოზიციის ქმედებები არ არის „ანტირუსული ხასიათის“.

პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი ვოლსკი for.ge**-სთან საუბრისას აცხადებს, რომ არავითი გრძნობა იმასთან დაკავშირებით, რა ბედი ელის აფხაზეთს და რა გეგმა უნდა განხორციელდეს, რათა ტერიტორიული მთლიანობა აღდგეს, ქართულ ოპოზიციას და პრეზიდენტს არ გააჩნიათ. მისი თქმით, იმ ადამიანებს ერთადერთი მიზანი აქვთ – როგორმე ეს პროცესები გამოიყენონ სათავისოდ.

კითხვაზე, როგორ შეიძლება დასრულდეს აფხაზეთში დაპირისპირება, რომელიც კლანებს შორის მიმდინარეობს და რა როლი შეიძლება დაიკავოს ამ პროცესში

რუსეთმა, ვოლსკი ამბობს, რომ ეს არის შემთხვევა, როდესაც წინასწარ პროგნოზები არ უნდა გაკეთდეს.

„უპასუხისმგებლო ადამიანები რასაც გინდა, იმას იტყვიან. რასაკვირველია, არსებობს ოჩამჩირის კლანი, გუდაუთის კლანი, ასევე არსებობს სხვა მიმდინარეობებიც, მაგრამ ხელაღებით დაარქვა ამას მხოლოდ კლანური ბრძოლა და უგულებელყო ზოგიერთი გულწრფელი ადამიანების სწრაფვა იმისკენ, რომ მართლაც იყვნენ დამოუკიდებლები, იქნება ის, რაც მართლაც გააღიზიანებს ადამიანებს, ვისაც ადრე თუ გვიან უნდა დაველაპარაკოთ.

აფხაზეთის ე.წ. პარლამენტმა ასლან ბჟანიას გადადგომას მხარი დაუჭირა...

ამის შესახებ ინფორმაციას რუსული მედია ავრცელებს. ამავე ცნობით, ფარული კენჭისყრით, ბჟანიას გადადგომას მხარი 28-მა ე.წ. დეპუტატმა დაუჭირა, ერთმა ხმა წინააღმდეგ მისცა, ორი ბიულეტენი კი ბათილად ცნეს.

იქამდე ცნობილი გახდა, რომ ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლების და ოპოზიციის წარმომადგენლებმა მოლაპარაკებების შემდეგ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც ბჟანიამ "თანამდებობიდან" გადადგომაზე თანხმობა განაცხადა. შეთანხმების თანახმად, ამ პოსტზე მოვალეობას ე.წ. ვიცე-პრეზიდენტი ბადრა გუნბა შეასრულებს. თანამდებობას ასევე ტოვებს ე.წ. პრემიერ-მინისტრი ალექსანდრე ანქვაბი და მის მოვალეობას ვალერი ბგანბა შეასრულებს.

ამასთან, შეთანხმება ითვალისწინებს, რომ საპროტესტო აქციის მონაწილეებმა აფხაზეთის ე.წ. სამთავრობო შენობები უნდა დატოვონ.

შეგახსენებთ, მხარეებს შორის დაპირისპირება რუსეთთან საინვესტიციო შეთანხმების გამო დაიწყო.



პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის განცხადებით, დღეს აფხაზეთში ჩვენთვის ნაცნობი ვითარებაა. **როგორც ქართველებს არ გვინდა ცალი ფეხით ევროპაში შესვლა, ასევე აფხაზებსაც არ უნდათ რუსეთში ცალ ფეხზე ხტუნაოგით შესვლა. ყოველ შემთხვევაში, რაღაც დიდ ნაწილს ეს სურვილი აქვს. რაც შეეხება იმას, საქართველოსთან მიმართებაში რა შეიძლება ხდებოდეს, პოლიტოლოგი მიესალმება იმას, რომ არაფერი არ ისმის ამ მიმართულებით და მიაჩნია, რომ ზედმეტი იყო ივანიშვილის განცხადება, რომელსაც მოჰყვა გაუგებარი ფრაზები ყველა მხრიდან: ქართული ოპოზიციის, აფხაზეთის და რუსეთის მხრიდან.**

„თუ რამეს აკეთებენ ჩვენი უსაფრთხოების სამსახურები და შეიძლება რომ აკეთებენ, გააკეთონ ჩუმად და არ არის აუცილებელი განცხადებების და ქულების დაწერა. ეს იმათ საყურადღებოდაც, ვინც ოპოზიციის მხრიდან იძახის, არიქა, გვითხარით, რას აკეთებთ აფხაზეთთან და ოსეთთან მიმართებაშიო. არაფრის თქმა არ არის საჭირო და არც წინასწარი დაპირებები. ეს იმდენად ფაქიზი თემებია, რომ სიჩუმე ჯობია. რა ფორმით არის რუსეთის ჩარევა და რამდენად შესაძლებელია უკრაინის ომის ფონზე აფხაზეთში მიმდინარე პროცესები მიუშვას დინებაზე, ალბათ, მაგ ტიპის ასპექტი იგულისხმებოდა, როდესაც ითქვა, რომ ჩვენ შეიძლება რაღაცა პერსპექტივა გაგვიჩნდეს აფხაზეთისა და ოსეთის რეგიონებზე კონტროლის. მე ვისურვებდი, რომ პროცესები, ჯერჯერობით, წასულიყო თავისი დინებით. ჩვენ საერთოდ არ ვიცით, მსოფლიო პროცესები როგორ და საით მიდის.

ითქვა, რომ უკრაინის ომი რაღაცებს გადაწყვეტსო, მაგრამ ეს ცოტა ძნელი სათქმელია. იმიტომ, რომ აქ კიდევ უფრო გართულდა ვითარება უკრაინის მიმართულებით და საერთოდ ბუნდოვანი გახდა, არა მარტო ტრამპი რას აპირებს, პუტინიც რას აპირებს, ესეც არაა ბოლომდე გარკვეული. ბოლო დროს სულ უფრო მატულობს ინფორმაცია, რომ არც ისე უბედური და წამგებიანია რუსეთი ამ ომის შედეგად და ესეც ბუნდოვანია, რას უშვრება ეს ომი რუსეთს. ამიტომ დაველოდოთ პროცესებს, სანამ მთელი მსოფლიო დალაგდება“, – აღნიშნა **for.ge**-სთან საუბრისას **რამაზ საყვარელიძემ.**

მოამზადა

თამთა ქარჩავამ.

◎ ოვალური ბურთი

ტოლ-სწორად...

ექვს ერში შესაღწევად მებრძოლმა ბორჯღალოსნებმა გენუაში ისტორიული პირველი ტაიმი მოუგეს პრინციპულ მეტოქეებს – იტალიელებს – 17:6, მაგრამ შემოდგომის ტესტ-სერიის მეორე შეხვედრის მეორე ტაიმში შერკინებამ დააღალატათ და სკუადრა აძურასთან ექვსიდან მეხუთე მატჩი 17:20 დათმეს.

ღირსეულ დამარცხებაში დავით ნინიაშვილმა გაიმრწყინა, ეფექტური ლელოების ავტორები კი ტაბუცაძე და ლობჟანიძე გახდნენ.

სამაგიეროდ, გაგვახარეს ქართველმა 18-წლამდელებმა, რომლებმაც რაგბი ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში გერმანია 11 ლელოთი გაანადგურეს – 67:0(!) და ნახევარფინალში ნიდერლანდების ნაკრებს შეხვდებიან. მიუხედავად აშკარა უპირატესობისა, გამოვლინდა ჩვენი გუნდის სუსტი წერტილიც – დამრტყმელებს 5 გარდასახვა გაუცუდდათ.

აქვე გაუწყებთ, რომ ამიერიდან ავსტრალიელი გრეტ რობინსონის სახით მსოფლიო რაგბის პირველი არაევროპელი პრეზიდენტი ჰყავს.

◎ ორიოდე სიტყვით

ძიუდო

პილა (პოლონეთი). 23-წლამდელთა ევროპის გუნდური ჩემპიონატი. **ოქრო** – საქართველოს შერეული ნაკრები. ჩვენმა ნაკრებმა დაამარცხა რუმინეთი (0:3-ის შემდეგ 4:3), გერმანია (4:1) და ფინალში უკრაინა – (4:3).

შეგახსენებთ, რომ პირად ტურნირში ჯვაროსნებმა 5 მედალი მოიხვეჭეს – 3 ოქრო და თითო ვერცხლ-ბრინჯაო.

ფარიკაობა

მეილანი (საფრანგეთი). ახალგაზრდული საერთაშორისო ტურნირი (ხმალი). **ოქრო** – ალექსანდრა კუვაევა.

ჭადრაკი

კალკუტა (ინდოეთი). საერთაშორისო ტურნირი სწრაფ თამაშში (ყოველ სვლაზე 25 წუთი 10 წამის დამატებით. წრიული სისტემა. 10 მონაწილე. **ვერცხლი** – ნანა ძაგნიძე (5,5 ქულა).

კრივი

მაიკ ტაისონი 19-წლიანი პაუზის შემდეგ რინგს დაუბრუნდა და არლინგტონის 80-ათასიან სტადიონზე გამართულ ბრძოლაში უშანსოდ დამარცხდა ბლოგერ **ჯეიკ პოლთან,** თუმცა 20 მილიონი მაინც გამოიმუშავა.

◎ ლეგენდები

შოთიგოლი გრძელდება



შოთა არველაძემ მადრიდის რეალთან ლეგენდების მატჩში ანგარიში გახსნა და აიაქსს 2:1 მოაგებინა.

მერე რა, რომ ეს ვეტერანთა შეხვედრაში მოხდა – ოსტატობას ხომ ეროვნება და ასაკი არა აქვს.

დავძენთ, რომ სამეფო კლუბის კარს თვით იკერ კასილიასი იცავდა, დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის საუკეთესო ბომბარდირს კი ასისტენტობა მარკუს მაბელმა გაუწია.

◎ ჭიდაობა

გიორგი ხინჩეგაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი გორში

შეპირებებს გორის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელთან სიმონ გულედანთან და საკრებულოს თავმჯდომარესთან დავით რაზმაძესთან ერთად ესწრებოდნენ ადგილობირივი ხელისუფლებისა და საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის წარმომადგენლები, ტიტულოვანი სპორტსმენის ოჯახის წევრები და მეგობრები.

ასპარეზობა, რომელიც 2010-2012 წლებში დაბადებულებს შორის ჩატარდა,10 წონით კატეგორიაში მიმდინარეობდა. ტურნირში 200-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა.

ტურნირზე ყველაზე უკეთ იასპარეზეს გორის ნუგზარ სხირელის სახელობის ჭიდაობის სკოლის სპორტსმენებმა. მათ ყველაზე მეტი მედალი მოიპოვეს და გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გავიდნენ.

საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები თასებით, მედლებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

ღონისძიება გორის მუნიციპალიტეტის მერიისა და ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების სააგენტოს ორგანიზებით ჩატარდა.

განცხადება
საჯარო განხილვის შესახებ

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - შპს „ნიუ ჯეომატერიალსის“ მიერ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) ღია კარიერული წესით მოპოვება

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 6 დეკემბერი, 11:00 საათი, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვემო სარალის საჯარო სკოლის შენობა ; 2024 წლის 6 დეკემბერი, 14:00 საათი, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფ. ბაითალოს საჯარო სკოლის შენობა.

გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024 წლის 9 დეკემბრის ჩათვლით:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 11 ნოემბერი. განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს სკოპინგის დასკვნას.

განცხადება
საჯარო განხილვის შესახებ

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - შპს „გი მეტალის “ მიერ ქ. ქუთაისში, საგლინავი საამქროს ექსპლუატაცია

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 4 დეკემბერი, 11:00 საათი, ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შენობა (მის: რუსთაველის ქ. N3); 2024 წლის 4 დეკემბერი, 14:00 საათი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. ქვიტირის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა.

გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024 წლის 9 დეკემბრის ჩათვლით:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 11 ნოემბერი. განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს სკოპინგის დასკვნას.

რას შვრები, ჯო!

ტრამპი:

არასდროს ვყოფილვართ მესამე მსოფლიო ომთან ისე ახლოს, როგორც დღეს, ჯო ბაიდენის მმართველობისას

არასდროს ვყოფილვართ მესამე მსოფლიო ომთან ისე ახლოს, როგორც დღეს, ჯო ბაიდენის მმართველობისას, – ამის შესახებ აშშ-ის არჩეულმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა.

„გლობალური კონფლიქტი ბირთვულ ძალებს შორის, ნიშნავს სიკვდილს და განადგურებას ისეთი მასშტაბით, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არ ყოფილა, ეს იქნებოდა ბირთვული არმაგედონი. არაფერია იმაზე მნიშვნელოვანი, ვიდრე ამ კოშმარის თავიდან აცილება. ჩვენ მას ავირიდებთ, მაგრამ გვჭირდება ახალი ხელმძღვანელობა.

ყოველდღე, სანამ უკრაინაში ბრძოლა გრძელდება, ჩვენ გლობალური ომის რისკის წინაშე ვართ. აბსოლუტურად მკაფიო უნდა იყოს ის, რომ ჩვენი მიზანია საომარი მოქმედებების დაუყოვნებლივ შეწყვეტა – სროლები უნდა შეწყდეს. ეს არის მთავარი საკითხი, ჩვენ დაუყოვნებლივ გვჭირდება მშვიდობა“!..

ჩრდილოეთ კორეამ შესაძლოა, პუტინს 100 ათასი ჯარისკაცი გაუგზავნოს

ჩრდილოეთ კორეამ, შესაძლოა, 100 000-მდე ჯარისკაცი გაგზავნოს რუსეთის დასახმარებლად უკრაინის წინააღმდეგ ომში, თუ ქვეყნებს შორის თანამშრომლობა გაღრმავდება. ამის შესახებ Bloomberg ექსპერტების შეფასებებზე დაყრდნობით წერს.

როგორც გამოცემის თანამოსაუბრეებმა აღნიშნეს, ასეთი ნაბიჯი არ არის გარდაუვალი და ამ მასშტაბის სამხედრო მხარდაჭერა – თუ ეს მოხდება – დიდი ალბათობით განხორციელდება ჯგუფურად ჯარების როტაციით და არა ერთჯერადი განლაგებით.

Bloomberg-ის ცნობით, ჩრდილოეთკორეელი ჯარისკაცების განლაგება აჩვენებს, რომ ომი გლობალური ხდება და ეს საკითხი ამ კვირაში ბრაზილიაში **G**-20 სამიტზე განხილვის საგანი იქნება, მათ შორის გერმანიის კანცლერ ოლაფ შოლცის მიერ ჩინეთის პრეზიდენტთან სი ძინპინთან შეხვედრისას.

ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ ფხენიანმა რამდენიმე ათასი სამხედრო გაგზავნა რუსეთის ფედერაციაში. უკრაინის პრეზიდენტმა ვლადიმირ ზელენსკიმ განაცხადა, რომ კურსკის რეგიონში უკვე 11 ათასი ჩრდილოეთკორეელი ჯარისკაცი იმყოფება. მისივე თქმით, ჩრდილოკორეელებმა უკვე განიცადეს მნიშვნელოვანი დანაკარგი.

ᲡᲚᲔ საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა / Georgian State Electrosystem

საქართველო, თბილისი 0108, ბარათაშვილის 2, Baratashvili str.,Tbilisi 0108, Georgia; ს/კ/I/N 204995176; ტელ/ფაქსი/Tel/fax: +995 332 983704; +995 3222 510101;

7264-07-2-202411191458

N 7264/07
19/11/2024

შპს „100-ახალი საქართველოს რესპუბლიკა“

განცხადების გამოქვეყნების მომსახურების გაწევის შესახებ.

2024 წლის 22 აპრილს N04.24-137 ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.1 პუნქტის თანახმად, გთხოვთ დანართების შესაბამისად გაგვიწიოთ გაზეთში განცხადების გამოქვეყნების მომსახურება.

დანართი: 4 ფურცელი.

პატივისცემით,

გიორგი გელაშვილი

დირექტორი შესყიდვებისა და ლოგისტიკის საკითხებში

დირექტორთა საბჭოს წევრი

www.gse.com.ge

სააქციო საზოგადოება „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
"GEORGIAN STATE ELECTROSYSTEM" JSC

აუქციონი#1

ს.ს. “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა” აცხადებს ელექტრონულ აუქციონს

მის ბალანსზე რიცხული:

ქ.ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა 2ა-ში, მდებარე - 54 კვ.მ -იდან 12 კვ.მ მიწის ფართის, საკადასტრო კოდი: 03.01.21.298, იჯარის ფორმით (დროებით სასყიდლიან სარგებლობაში), 3 (სამი) წლის ვადით გაცემის მიზნით.

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ, ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ინტერნეტ გვერდზე: www.gse.com.ge და ასევე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ინტერნეტ გვერდზე: www.eauction.ge

საკონტაქტო პირი:

გიორგი ოდიშვილი
ტელეფონი: ქალაქის – 2-510-281
მობილური – 5 77 24 02 33

აუქციონი#2

ს.ს. “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა” აცხადებს ელექტრონულ აუქციონს

მის ბალანსზე რიცხული:

ქ.ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა 2ა-ში, მდებარე - 54 კვ.მ -იდან 10 კვ.მ მიწის ფართის, საკადასტრო კოდი: 03.01.21.298, იჯარის ფორმით (დროებით სასყიდლიან სარგებლობაში), 3 (სამი) წლის ვადით გაცემის მიზნით.

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ, ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ინტერნეტ გვერდზე: www.gse.com.ge და ასევე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ინტერნეტ გვერდზე: www.eauction.ge

საკონტაქტო პირი:

გიორგი ოდიშვილი
ტელეფონი: ქალაქის – 2-510-281
მობილური – 5 77 24 02 33

აუქციონი#3

ს.ს. “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა” აცხადებს ელექტრონულ აუქციონს

მის ბალანსზე რიცხული:

ქ. გორში, ცხინვალის გზატკეცილი #5–ში მდებარე ორსართულიანი შენობის მეორე სართულზე არსებული 100კვ არასაცხოვრებელი ფართის (საკადასტრო კოდი: #66.45.13.032) ნაწილის (100კვ.მ), იჯარის ფორმით (დროებით სასყიდლიან სარგებლობაში), 3 (სამი) წლის ვადით გაცემის მიზნით.

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ, ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ინტერნეტ გვერდზე: www.gse.com.ge და ასევე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ინტერნეტ გვერდზე: www.eauction.ge

საკონტაქტო პირი:

გიორგი ოდიშვილი
ტელეფონი: ქალაქის – 2-510-281
მობილური – 5 77 24 02 33

აუქციონი#4

ს.ს. “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა” აცხადებს ელექტრონულ აუქციონს

მის ბალანსზე რიცხული:

OPGW ტიპის ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის/გვარლის (საკადასტრო კოდი: 32.00.137) თავისუფალი რესურსის, 2 ერთ. ოპტიკური წვერის (ერთი წყვილი), 5 (ხუთი) წლის ვადით, იჯარის ფორმით (დროებით სასყიდლიან სარგებლობაში), გაცემის მიზნით.

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ, ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ინტერნეტ გვერდზე: www.gse.com.ge და ასევე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ინტერნეტ გვერდზე: www.eauction.ge

საკონტაქტო პირი:

გიორგი ოდიშვილი
ტელეფონი: ქალაქის – 2-510-281
მობილური – 5 77 24 02 33

ლენინის უკანონო შვილები

ვინ ამტკიცებდა ბელადთან ნათესაობას?!

ოფიციალურ ვერსიას თუ დავუჯერებთ, ვლადიმირ ლენინს შვილები არ ჰყავდა. მისი მეუღლე ნადეჟდა კრუპსკაია უშვილო იყო. მიუხედავად ამისა, არსებობდა რამდენიმე ადამიანი, რომელიც ამტკიცებდა, რომ პროლეტარიატის ბელადის შვილი იყო. ვინ არიან ეს ადამიანები და რამდენად მართალია მათი ისტორია?

ყველაზე ცნობილი „ლენინის შვილი“ ინესა არმანდის უმცროსი ვაჟი გახლდათ. ორი რევოლუციონერის ახლო ურთიერთობაზე ყველამ იცის. გარეგნულ მსგავსებას ანდრეი არმანდსა და ლენინს შორის ბევრი

ინესა არმანი



ალექსანდრ სტეფენი

ამჩნევდა, მაგრამ ერთი რამ არ ემთხვევა – ბავშვი იქამდე დაიბადა, სანამ ორი ბოლშევიკი ერთმანეთს გაიცნობდა. არმანდის შთამომავლებიც კატეგორიულად უარყოფენ ლენინთან ნათესაურ კავშირს.

✦ ✦ ✦

ინესა არმანდთან კიდევ ერთი არაკანონიერი ვაჟიშვილის ისტორიაა დაკავშირებული. ვინმე ალექსანდრ სტეფენი აცხადებდა, რომ დაიბადა 1913 წელს, ინესასა და ლენინის კავშირის შედეგად. თუმცა, გაჩენის შემდეგ ის ავსტრიელი რევოლუციონერის ოჯახში გაგზავნეს აღსაზრდელად. სტეფენი ყვება, რომ მას დედა აკითხავდა და წერილიც კი აჩუქა, რომელიც ლენინის ხელით იყო დაწერილი. მოზარდობის ასაკში ახალგაზრდა, სტალინის პირადი ბრძანებით, აშშ-ში გაემგზავრა. იქ მან მიიღო განათლება, დაქორწინდა და მრავალი წელი იცხოვრა. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ სტეფენი გერმანიაში გადავიდა საცხოვრებლად და ამ ქვეყნის მოქალაქეობა მიიღო.

ალექსანდრ სტეფენი ლეონიდ ბრეჟნევსაც კი შეხვდა, რომელმაც, როგორც იცოდა, მხურვალედ გადაკოცნა იგი და ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოვა. არცერთი საბუთობრივი მტკიცებულება ნათესაობის შესახებ არც არმანდთან და არც ლენინთან არ არსებობს, მაგრამ ამან ალექსანდრს ხელი ვერ შეუშალა, მოხვედრილიყო გერმანულ წიგნებში, როგორც „ლენინის ერთადერთი შთამომავალი“.

✦ ✦ ✦

ვლადიმერ ლენინის კიდევ ერთი არაკანონიერი შვილი იყო ანდრეი მირონოვი. ის ინა ლენინას შვილია, რომელიც მოგვიანებით ცნობილი საოპერო მომღერალი გახდა. ინას ლენინთან რომანი ახალგაზრდობაში ჰქონდა. წყვილი დაქორწინებასაც კი გეგმავდა, მაგრამ ოჯახს საქმრო არ მოეწონა და მათ არაფერი გამოუვიდათ.

ლენინას ოჯახში არ სურდათ, რომ მათი ქალიშვილი, ცნობილი ტერორისტის ალექსანდრ ულიანოვის ძმის მეუღლე გამხდარიყო. ჰოდა, ნამდვილი ოჯახური დრამაც გათამაშდა, ვინაიდან ლენინის სატრფო „განსაკუთრებულ მდგომარეობაში“ იყო. ორსული ინა გაათხოვეს, ხოლო შეყვარებულწართმეულმა ვლადიმერ ულიანოვმა თავისი საყვარელი ქალის გვარი ფსევდონიმად აიღო.

ფანი კაპლანი, რომელმაც ბელადს ესროლა, ასევე, აცხადებდა, რომ მისი არაკანონიერი ქალიშვილი იყო. დაკითხვებზე ის დაჟინებით იმეორებდა, რომ ლენინს შურისძიების მიზნით ესროლა. ის ვერ ჰპატიობდა მამას, რომ მან ოდესღაც დედამისი შეარცხვინა. ვლადიმერ ლენინის მეორე ქალიშვილი – მარია ბოროვიკოვა – 1912 წელს პარიზში ერთ-ერთი კაბარეს მოცეკვავემ გააჩინა.

ფანი კაპლანი

✦ ✦ ✦

ისევე, როგორც ლენინის სხვა „შვილების“ ისტორიები, ბოროვიკოვას ბიოგრაფიაც მსუყე აღმოჩნდა. მისი სიტყვების თანახმად, ლენინმა ქალიშვილის შესახებ 1914 წელს გაიგო, როდესაც დედამისი, რევოლუციური ქმედებებისთვის, ციხეში მოხვდა. გოგონა ობოლ ბავშვთა თავშესაფარში ცხოვრობდა. ის რუსეთში ჩამოიყვანეს და სმოლენსკელი ბოროვიკოვების ოჯახს გადასცეს.

ლენინის პარიზელ ქალიშვილს ბელადის მეუღლეს ნადეჟდა კრუპსკაიას ლენინის სიკვდილამდე უმალავდნენ. მხოლოდ ბელადის გარდაცვალების შემდეგ შეხვდნენ მას ბოროვიკოვები და გოგონას ისტორია უამბეს. კრუპსკაიამ მარია თავისთან წაიყვანა და გოგონა დედასაც კი ეძახდა მას. ლენინის დაბადების დღეს, 22 აპრილს, ბოროვიკოვას მავზოლეუმთან ყვავილები მიჰქონდა წარწერით – „ძვირფას მამას მაშასგან“.

არდავიწყება

გურამ გუნავა, დარეჯან ელიაძე, ზაურ თელია, მამუკა კვიტაიშვილი, იური იობაია, ბორის ლასარეიშვილი, ლილი გუგუშვილი, მარინა კანდელაკი, კუკური ლასარეიშვილი, გია კუცია, ზურა გრიგოლია, ვეფხია ცომაია, სპარტაკ ქობულია ღრმა მწუხარებით იუწყებიან აბაშის მუნიციპალიტეტის სახელოვანი შვილის, სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის, არაერთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე უმწიკვლოდ ნაღვაწის, მრავალი ორდენისა და ჯილდოს მფლობელის, აბაშის საპატიო მოქალაქის, ყველასთვის საყვარელი და კეთილშობილი ადამიანის

გალაქტიონ კუციას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული.

ცოლს სახლში ფარული ჩამწერი დაუმონტაჟა...

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ ფარული მიყურადების ფაქტზე მხილებულია ერთი პირი.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2024 წლის აპრილიდან ივლისამდე პერიოდში, ქ. თბილისში, 1991 წელს დაბადებულმა ბრალდებულმა მამაკაცმა, მეუღლესთან უთანხმოების გამო, მისი გაკონტროლების მიზნით, საცხოვრებელი სახლის მისაღებ ოთახში, ტელეფონის დამტენის ფორმის ფარული ვიდეო-აუდიოჩამწერი მოწყობილობა დენის წყაროსთან დააკავშირა, რომლის მეშვეობითაც ბრალდებული თავისი მობილური ტელეფონიდან ფარულად გადაღებულ კადრებს პერიოდულად ნახულობდა და კომპიუტერში ინახავდა. გარდა ამისა, ბრალდებულმა საძინებელი ოთახის ჭერში ფარულად აუდიოჩამწერი მოწყობილობა დაამონტაჟა, რომლის ჩანაწერებსაც, ასევე, მეხსიერების ბარათზე ინახავდა.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, 1990 წელს დაბადებული დაზარალებული ქალის მომართვის შემდეგ, შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები დაუყოვნებლივ ჩაატარა. კერძოდ, ამოღებული იქნა ფარული ჩამწერი მოწყობილობები და მათში არსებული მეხსიერების ბარათები. ბრალდებულის პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ამოღებული იქნა მისი კუთვნილი კომპიუტერული ტექნიკა, რომელშიც ფარული აპარატურის მიერ ჩაწერილი აუდიო და ვიდეომასალა იქნა ნანახი.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე მამაკაცს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლით, კერძო კომუნიკაციის საიდუმლოს ხელყოფისთვის წარედგინა, – აღნიშნულია სპეციალური საგამოძიებო სამსახურის განცხადებაში.

დანაშაული 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

არადეკლარირებული ოქროს სამკაულები სარფში

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრების მიერ, საბაჟო გამშვებ პუნქტში „სარფი“ თურქეთის რესპუბლიკის მხრიდან მომავალი საქართველოს მოქალაქის მართვის ქვეშ არსებული სატვირთო ავტომობილის, ეჭვის საფუძველზე, დეტალური დათვალიერების შედეგად (ავტომობილის სალონში არსებული სავარძლის ქვეშ), 3 900 გრამი არადეკლარირებული ოქროს საიუველირო ნაკეთობები გამოვლინდა. ინფორმაციას შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 505 667.28 ლარი შეადგინა.

საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეგზავნა.

ახალი სარეაბილიტაციო სივრცე „გლდანის ციხეში“

ციფრული უნივერსიტეტი, ხის და კერამიკის სახელოსნოები, განახლებული ბიბლიოთეკა

გლდანის №8 პენიტენციურ დაწესებულებაში ციფრული სწავლებისთვის უკვე ყველა პირობაა შექმნილი და მსჯავრდებულებს შესაძლებლობა აქვთ, ქართული ინოვაციური საგანმანათლებლო პროექტით ისარგებლონ, – ამის შესახებ ინფორმაციას პენიტენციური სამსახური ავრცელებს.

პენიტენციურ სისტემაში ციფრული სწავლების დანერგვამ მნიშვნელოვნად გაზარდა უმაღლესი განათლების მიღების მსურველ პატიმართა რაოდენობაც. 2024 წელს, წინა წელთან შედარებით, ერთიან ეროვნულ და საერთო სამაგისტრო გამოცდებზე 43%-ით მეტი ბრალდებული/მსჯავრდებული დარეგისტრირდა. ქართული ინოვაციური პროექტის სხვა პენიტენციურ დაწესებულებებში დანერგვის პროცესი გრძელდება.

აღსანიშნავია, რომ ციხისა და სასჯელაღსრულების სისტემების ევროპულმა ორგანიზაციამ (**Europris**) „ციფრული უნივერსიტეტი“ 3 საუკეთესო პროექტს შორის დაასახელა.

№8 დაწესებულების მასშტაბური სარეაბილიტაციო სივრცე სპეციალური პენიტენციური სამსახურის ხელმძღვანელმა **ნიკა ცხვარაშვილმა** მის მოადგილე **გიორგი გიორგაძესა** და უწყების სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად გახსნა.

დაწესებულების ახალ სარეაბილიტაციო სივრცეში მოწყობილია ხისა და კერამიკის სახელოსნოები. აქ მსჯავრდებულებს დარგის სპეციალისტები ახალ პროფესიას შეასწავლიან, შემდგომ კი დასაქმდებიან.

სრულად განახლდა დაწესებულების ბიბლიოთეკაც, რომელიც განკუთვნილია როგორც სამკითხველოდ, ისე ფილმების საჩვენებლად და სტუმრებთან შესახვედრად.

კოლიზეუმში გლადიატორთა ეპოქა მეორდება

რომის კოლიზეუმში თითქმის 2000 წელია, არ მომხდარა ის, რასაც ახლა Airbnb და Paramount Pictures-ს აპირებენ – გლადიატორთა ბრძოლას აწყობენ, რათა 22 ნოემბერს Gladiator II-ის გამოსვლა აღნიშნონ. ოღონდ ისე არა, როგორც ადრე, გლადიატორის როლის მორგებას მაყურებლებს სთავაზობენ და მათ იმის გამოცდის საშუალებას აძლევენ, რაც ადრე რომაული ცის ქვეშ ხდებოდა.

2025 წლის 7 და 8 მაისს გაბედულ მონაწილეებს შეეძლებათ, სრულად შეიგრძნონ **Gladiator** II-ის ცხოვრება, ოღონდ ისტორიული ამფითეატრის სამუშაო საათების შემდეგ. ეს უფასო გამოცდილება სტუმრებს გლადიატორის ავთენტიკური აღჭურვილობის ტარების, მიწისქვეშა ოთახებში გასეირნების, არენაზე შებიჯებისა და ბრძოლის შესაძლებლობას სთავაზობს.

მთავარი ამბავი აქ, რაღა თქმა უნდა, გლადიატორთა დუელია, რომელიც როგორც გასართობ, ისე სავარჯიშო სესიას გულისხმობს იმისათვის, რაც მათ შემდგომში ელოდებათ — ხომ გახსოვთ, მონაწილეები თავად შედიან არენაზე

კოლიზეუმის სახელგანთქმულ ჰიპოგეუმში სტუმრები მოსამზადებელ სივრცეებში დაიშვებიან, სადაც ისინი არჩეული საბრძოლო სტილისთვის შესაფერისი სპეციალური ჯავშნით აღიჭურვებიან, იქნება ეს რეტიარიუსი ბადით მებრძოლი გლადიატორისთვის თუ ე. წ. ჯავშნიანი მურმილო. როგორც კი მოემზადებიან, ჩირაღდნით განათებულ დერეფნებს გაივლიან და იმ ადამიანებზე დაფიქრების შესაძლებლობა მიეცემათ, რომლებიც მანამდე აქ იბრძოდნენ.

ამ ღონისძიებას ისტორიული ელემენტებიც ავსებს, მათ შორის რომაული ხემსის დარიგება თავისი

ნუშით, ყურძნით, ბროწეულითა და ნიგვზით. თუმცა მდიდრულ რაღაცებს ვერ ნახავთ, რადგან, როგორც **Airbnb**-ში აღნიშნავენ: „თქვენ გლადიატორი ხართ და არა, იმპერატორი, თქვენ ვერ იქნებით გაუმაძღარი, ეს თქვენს გრძნობებსა და რეფლექსებს შეანელებს “.

საღამო კულმინაციას გლადიატორულ ბრძოლაში ვარჯიშით აღწევს — სტუმრები ერთმანეთს გლადიატორების ტრადიციული მსაჯის მეთვალყურეობის ქვეშ დაუპირისპირდებიან — ამ ყველაფერს იმიტომ აკეთებენ, რომ გლადიატორთა ცხოვრება მეტად ხელშესახები გახადონ მაყურებლისთვის.

თუმცა სანამ თავად მოინდომებთ გლადიატორობას, დაჯავშნა მოგიწევთ, რაც 27 ნოემბრიდან დაიწყება და 9 დეკემბრამდე გაგრძელდება. იღბლიან 32 მონაწილეს კი **Airbnb** აირჩევს.

მარიამ ღვთისმშობელზე ახალი ფილმი ნეტფლიქსზე გამოვა

ნეტფლიქსზე სულ მალე ახალ ეპიკურ ბიბლიურ დრამას ვიხილავთ. „მარიამი“ – ასე ჰქვია რეჟისორ დ. ჯ. კარუზოს მორიგ ნამუშევარს, რომელიც მარიამ ღვთისმშობლის ცხოვრებაზე მოგვითხრობს. ფილმში ორგზის ოსკაროსანი ენტონი ჰოპკინსი მონაწილეობს, მთავარი როლის შემსრულებელი კი ნოა კოენია.

მარიამი ბიბლიურ სიუჟეტს მიჰყვება: ნაზარეთში მცხოვრები ახალგაზრდა ებრაელი ქალი ტაძარში მიჰყავთ იოსებზე დასაქორწინებლად. მოგვიანებით, მეფე ჰეროდეს სასტიკი განკარგულების გამო, ახალშექმნილ ოჯახს დამალვა მოუწევს და მარიამი და იოსები ჩვილ იესო ქრისტესთან ერთად ეგვიპტეში გაიქცევიან.

სანამ ფილმს ვიხილავთ, უკვე გვაქვს შესაძლებლობა, ორწუთიან ტრეილერს შევავლოთ თვალი.

კატამ სახლში ლატარიის მოგებიანი ბილეთი მიიტანა

დიდ ბრიტანეთში კატამ, სახელად მანკი პატრონი უჩვეულო სიურპრიზით გააკვირვა – მან სახლში ლატარიის ბილეთები მიიტანა.

ცხოველის პატრონმა მეგან კრისტიანმა ეს მომენტი ვიდეოზე აღბეჭდა და TikTok-ზე გამოაქვეყნა.

კადრებზე ჩანს, რომ მანკი ქუჩიდან სახლის ფანჯრისკენ მორბის, კბილებში კი გამოუყენებელი ბილეთი უჭირავს. როდესაც მეგანმა ბილეთზე დატანილი დამცავი ფენა გადაფხიკა, აღმოჩნდა, რომ მან 10 გირვანქა სტერლინგი მოიგო. ქალი ამბობს, რომ თანხას „რამე სასიამოვნოზე“ დახარჯავს.

ამასთან, მეგანი იხსენებს, რომ მანკის მსგავსი საჩუქრები ხშირად მოაქვს – ნახევარი წლის წინ კატამ სახლში ლურსმნები მიიტანა, მოგვიანებით კი ბავშვის სატყუარა.

ოკეანის კვალი მარსზე

ჩინეთის მარსმავალმა იპოვა ახალი მტკიცებულება, რომელიც მხარს უჭერს თეორიას, რომლის თანახმადაც, ერთ დროს მარსზე არსებობდა ვრცელი ოკეანე; მტკიცებულებებს შორისაა უძველესი სანაპირო ზოლი, რომელსაც ერთ დროს წყალი ეხეთქებოდა.

უკვე ათწლეულებია, მეცნიერებს შორის კამათის საგანია თეორია, რომლის მიხედვითაც, მილიარდობით წლის წინ მარსის თითქმის მესამედი ოკეანით იყო დაფარული.

2021 წელს, ჩინეთის მავალი **Zhurong**-ი მარსის ჩრდილოეთ ნახევარსფეროში, უტოპიის რეგიონში დაჯდა, სადაც უკვე შემჩნეული იყო ნიშნები უძველესი წყლის შესახებ.

მას შემდეგ ეს მავალი წითელი პლანეტის ზედაპირს იკვლევს და ახლახან მისიის ხელმძღვანელობამ ახალ აღმოჩენათა შესახებ კვლევა ჟურნალ **Scientific Reports**-ში გამოაქვეყნა.

წარმონაქმნთა მრავალფეროვნება მიუთითებს, რომ ოკეანე წარსულში **Zhurong**-ის დაშვების ადგილას იდგა. მათ შორის არის ჩაღრმავებული კონუსები, მრავალკუთხა ღარები და ამოკვეთილი დინებები.

წინა კვლევების თანახმად, კრატერის მსგავსი ჩაღრმავებული კონუსები შეიძლება ტალახის ვულკანების მიერ ყოფილიყო წარმოქმნილი და ისინი ხშირად ჩნდება იქ, სადაც იყო წყლის ყინული.

მავალისგან მიღებული ინფორმაცია და თანამგზავრული მონაცემების ანალიზი ასევე მიუთითებდა, რომ სანაპირო ზოლი ერთ დროს ამ ზონის სიახლოვეს იყო.

მკვლევართა ჯგუფის შეფასებით, ოკეანე დაახლოებით 3,7 მილიარდი წლის წინ უნდა წარმოქმნილიყო დატბორვის შედეგად.

ამ სცენარით შემდეგ ოკეანე გაიყინა, სანაპირო ხაზი ამოჭრა, 3,4 მილიარდი წლის წინ კი გაქრა.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევართა ჯგუფი გადაჭრით არ ამტკიცებს, რომ მათი აღმოჩენა საბოლოოდ ადასტურებს წარსულში მარსზე ოკეანის არსებობას. ამ დამაინტრიგებელ კითხვაზე საბოლოო პასუხს ალბათ მხოლოდ მარსის ნიმუშების დედამიწაზე ჩამოტანა გაგვცემს.

დედოფლის საბედისწერო ყელსაბამი აუქციონზე გაიყიდა

ყელსაბამი, რომელიც მარია ანტუანეტას სიკვდილის მიზეზი გახდა, აუქციონზე 4,81 მილიონ დოლარად გაიყიდა. ნამუშევარი დაახლოებით 500 ბრილიანტით არის გაკეთებული და ოთხშაბათს საღამოს ჟენევის აუქციონზე Sotheby's-ის მიერ შეფასებულ თანხაზე თითქმის ორჯერ ძვირად გაიყიდა.

„ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ეს ლოტი მოვიგე. თუმცა ის მე არ მეკუთვნის, მე ვარ მხოლოდ მეურვე, სანამ სხვა ადამიანი შემცვლის",- განაცხადა სამკაულის ახალმა მფლობელმა.

როგორც ცნობილი გახდა, აუქციონზე გაყიდული ყელსაბამის ქვების ნაწილი სწორედ ის ქვებია, რომლებმაც მარია ანტუანეტას სიკვდილი და საფრანგეთის რევოლუცია დააჩქარა. ზოგადად ისტორიული სამკაულების ბაზარს საკმაოდ მომხიბვლელი ნიშა აქვს. აუქციონის მონაწილეები არ ყიდულობენ მხოლოდ ნივთს, ისინი ყიდულობენ მთელ ისტორიას.

ცნობილია, რომ დიდგვაროვანმა ქალბატონმა ჟიანა დე ლა მოტმა თავი მარია ანტუანეტად გაასაღა და სამკაული დედოფლის სახელით, ფულის გადახდის გარეშე წაიღო. მიუხედავად იმისა, რომ დედოფლის უდანაშაულობა დადასტურდა, მომხდარმა მონარქის ექსტრავაგანტური ცხოვრების სტილის შესახებ საზოგადოებაში პროტესტი კიდევ უფრო გაამძაფრა, რასაც საფრანგეთის რევოლუცია და მარი ანტუანეტას გილიოტინაზე ასვლა მოჰყვა.

ცნობისთვის, ყელსაბამი დაახლოებით 100 წლის განმავლობაში იყო ინგლისელი არისტოკრატის ოჯახის საიუველირო კოლექციის ნაწილი, სანამ ის 1960-იან წლებში კერძო აზიელმა კოლექციონერმა არ იყიდა.

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ფახი: 599(0)0: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი **სპარტაკ ქობულია** (599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე **მამუკა ვაშაკიძე** (597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი: **ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი **რუსუდან ქობულია** (577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები: **ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი **შორენა გვილია.**

დამკაბადონებელი **გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი **გიორგი ნადარეიშვილი**

მისამართი: თბილისი. აკაკი წერეთლის N116

წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე: sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედიასაშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა **„კოლორში“** ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ: 577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7313; ევრო - 2.8810;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4469;
100 რუბლი - 2.7405; თურქული ლირა - 0.0791;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6063;
1000 სომხური დრამი - 7.0235.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 22 ნოემბერს